# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2007 წელი.

№ 4 (5605)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## თუ საქართველოს მთავრობა არ მოგწონთ, ეს რა ღლესის ბრალია?



5

### 70 წელი მთელი რუსეთი საქართველოს ხილით იკვებებოდა და ახლა გახდა უვარგისი?

წერილი რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ვლადიმერ პუტინს

SOS!

## სასარგებლო წიაღისეულიც იყიდება!

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გუშინ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გაიმართა.

აუქციონზე 46 ობიექტი იყო გამოტანილი. კერძოდ, ხარაგაულის, წალკის, ხაშურის, სამტრედიის, ხობის, დუშეთის, ასპინძის, მცხეთის, საგარეჯოს, გორის, საჩხერის, ჭიათურის, თერჯოლის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ტყიბულის, ნინოწმინდის, ქარელის, თელავის, კასპის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ადიგენის, ახმეტის, გარდაბნისა და ლენტეხის რაიონებში არსებული სასარგებლო წიაღისეული.

აუქციონში 39 მეწარმე მონაწილეობდა, მათგან გამარჯვებულად 33 გამოცხადდა. აუქციონზე დაფიქსირებულმა თანხამ 1 452 126 ლარი შეადგინა.

## ავტონაწილების მაღაზიებს შეესივნენ!

საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში – ქუთაისისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებზე მდებარე ავტონაწილების მაღაზიების შემოწმება დაიწყეს.

როგორც საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ზაზა თოდიაშვილმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, წინასწარი ინფორმაციით, აღნიშნული მაღაზიების მეპატრონეები რეალიზებული საქონლის აღრიცხვას სათანადოდ არ ახორციელებენ, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს სერიოზული ზარალი ადგება.

ეს მხოლოდ პირველი ეტაპია. დოკუმენტების შესასწავლად აუდიტორული შემოწმება დაინიშნება და შედეგები უახლოეს პერიოდში, დაახლოებით, ერთი კვირის ვადაში გახდება ცნობილი, – განაცხადა თოდიაშვილმა.

გუშინ მხოლოდ 12 ობიექტის შემოწმება გახდა შესაძლებელი, თუმცა, მომდევნო დღეებში აღნიშნულ ქუჩებზე მდებარე დაახლოებით 80 მაღაზია შემოწმდება.

როგორც საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ აღნიშნა, მისი უწყება ანალოგიურ ღონისძიებას სისტემატურ ხასიათს მისცემს.

შოუ „აფხაზურად"

8

## მგლის თავზე სახარების კითხვა

## ცრემლის ღვარსაც ძალა აქვს

2



### რას ფიქრობს „ქართული მენტალიტეტის" ოსი დიმიტრი მედოევი?

3

## აფხაზეთში პროოსულ ძალებს ამერიკაში მცხოვრები სომხები აფინანსებენ



ილორის ტაძარში ქართველი მლოცველები სცემეს

## სტალინი მამის ფოტოსურათის ნახვისას განრისხდა

8



კრიმინალი

9

## როდესაც პოლიცია უმოქმედოა

**მიუტევებელი უზნეობაა, როდესაც საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობ, პურის ფულს დახარბებული, გაჭირვებული თანამოქალაქეების ჯიბრზე ზღაპრულ ხელფასებს და პრემიებს (რისთვის, რა აღმოჩენა-გამოგონებისთვის?!) ინიშნავ, პენსიონერებს კი, 38-ლარიან პენსიას ამადლი!**



◎ დღის თემა

# ცრემლის ღვარსაც ძალა აქვს

**ჩემი დაკვირვებით, მომაბეზრებელი ტაშ-ფანდურისა და სადღესასწაულო მუცელღორობის დღეები ჩავლილია.**

მერე რა, რომ წითელი ღორის (!) – ტახის (!) წელიწადი დადგა, ღორს რომ თქვლეფა უყვარს, ისეთი და იმდენი სასმელ-საჭმელი ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის დიდ უმრავლესობას 2007 წელს ნამდვილად აღარ ექნება.







ბაზრებსა და მაღაზიებში ყოველდღიურად ძვირდება პროდუქტები.

აფთიაქებში – წამლები.

ბუნებრივი გაზისა და დენის გადასახადებმა წელში გაწყვიტა ხალხი.

მხოლოდ რამდენიმე მოსახლეს, მილიონერს და ბოზოლა მეწარმეს თუ შეუძლია ამ გადასახადების პატიოსნად გადახდა.

წყლის ფასი 100 პროცენტით გაიზარდა და სულზე 2 ლარსა და 40 თეთრს მიაღწია.

ოთხმილიონიან ქვეყანაში 800 000-ზე მეტი პენსიონერია, რომელიც 38 ლარით „ირჩენს" თავს.

სამომხმარებლო კალათამ საახალწლოდ მინიმუმ 200 ლარი შეადგინა.

არ გეგონოთ, რომ თებერვალ-მარტში ამ მაჩვენებელმა დაიწიოს.

უზნეო ბაზარი და ლორზე უფრო მსუნაგი საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო შემზარავ მომავალს გვპირდება.

რუსეთმა გაზი კატასტროფულად გაგვიძვირა!

ხელისუფლებამ, – არ შეგეშინდეთ, სახელმწიფო ერთხანს (!) კომპენსაციას გადაიხდისო!

**კომპენსაციის კატეგორიული წინააღმდეგია სახელმწიფო მინისტრი, რუსეთიდან ჩამოყვანილი ქართული ეკონომიკის საკუთარ სტომაქში ჩამტევი „რეფორმატორი" კახა ბენდუქიძე: ვისაც გადახდის თავი არა აქვს, გაზს ნუ მოიხმარსო!**

აი, როგორი გავეშებული ტახის წელიწადი დაგვიდგა.

კახა ბენდუქიძე თითქმის ერთადერთია დღევანდელ ხელისუფლებაში, რომელსაც პრეზიდენტის ქვეშევრდომული შიში არა აქვს.

ის დიდი ფულის პატრონია. ამბობენ, გაჭირვებულ-დაქცეულ საქართველოში რამდენიმე „გასაიდუმლოებული" შემოსავლიანი ობიექტი იყიდა, ზოგსაც ახლა (დაიკოს სახელზე) იშენებს და სულ ფეხებზე ჰკიდია, მინისტრი იქნება თუ ბიოლოგიური ლაბორატორიის უფროსიო. თანაც, მთავარი ქონება ხომ რუსეთში აქვს და საკუთარი წონის წყალობით იქაც არ დაიკარგება...

სხვა დანარჩენი მაღალჩინოსანი „დიდდიდნი შვილნი" ბედკრული საქართველოსი (**თვით გიგა ბოკერიაც კი!**) პრეზიდენტის ქვეშევრდომული შიშისა და პირმოთნეობის საფუძველზე გაფეტიშებულნი არიან და ყველაზე მტკივნეულ წყლულზე აჭერენ ფეხს ერსა და ბერს.

მეტი რაღა გინდათ, გიგა ბოკერია გამორჩეულად აქტიურობს (პარლამენტის თავმჯდომარეც კი ვერ აოკებს!) ბეჭდვური მედიისთვის შეღავათების მოხსნის საქმეში... ამ დროს კი „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის" ეთერში საახალწლოდ (მანამდე და მას შემდეგაც!), სარეკლამო წუთი 2000 დოლარი ღირდა, ყველაზე მეტი (!) ქართულ ტელესივრცეში!

**პრესა – გონიერების, ერის ინტელექტუალური ნაწილის სულის გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი – უნდა მოკვდეს! ასეთია ხელისუფლების ვერდიქტი.**

ყველაფერი გასაგებია!

2006 წელს უთვალავი მაგალითი გვქონდა იმისა, თუ როგორ გაფეტიშდა მრავალი უმწიფარი მაღალჩინოსანი ოდენ ლიდერის მხარდაჭერითა და პატრონყმური ლაქუცით.

ბოლო ფაქტი რად ღირს, – **ნაცმოძრაობის გენერალური მდივანი გახდა ამ ხელისუფლებაში ყველაზე „დაღვინებული პოლიტიკოსი" დავით კირკიტაძე.**

ვეკითხები ჩვენს გასაცოდავებულ ერს – რაიმეს იმედი შეიძლება თუ არა ჰქონდეს იმ ქვეყანას, რომლის მმართველი პარტიის გენერალური მდივანი მუშტებზე მაყურებელი დავით კირკიტაძე იქნება?

არადა, რამდენი ასეთი კითხვა დაგროვდა ბოლო სამი წლის განმავლობაში, ზუსტად „ვარდების რევოლუციის" შემდეგ.

მიუტევებელი უზნეობაა, როდესაც საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობ, პურის ფულს დახარბებული, გაჭირვებული თანამოქალაქეების ჯიბრზე ზღაპრულ ხელფასებს და პრემიებს (რისთვის, რა აღმოჩენა-გამოგონებისთვის?!) ინიშნავ, პენსიონერებს კი, 38-ლარიან პენსიას ამადლი!

ჩვენი ხელისუფლების მთავარი უზნეობა მაინც ის მგონია, რომ „ხალხზე ფიქრობს" ვალდებულების გამო და არა საკუთარი სინდისის კარნახით.

ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ:

**„ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეულნი არიან ისეთები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის), ან ისინი, რომელნიც უგულებელყოფენ სულიერ ღირებულებებს. ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელეშოუების გმირებს, ვიდრე თავისივე თაობის ნიჭიერ პოეტებს, მხატვრებს, კულტურის მოღვაწეთ, მეცნიერებს და, ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს (სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლედან).**

რა ვქნათ, პატრიარქის შეგონებაც რომ არავის ესმის?..

ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

რა თქმა უნდა, ხშირად უნდა ვიტიროთ და ვივიშვიშოთ, **თანაც საყოველთაო ქართულ ინერტულობას ვძლიოთ, ხელები დავიკაპიწოთ და ქვეყნის დამღუპველნი იმ ცრემლის მდინარით წავლეკოთ, რომელიც კარგა ხანია ღვარივით გვდის!**

**სპარტაკ ქობულია**

◎ ოპოზიცია

# ამჯერად კი შეძლებენ პირადი ამბიციების დაძლევას?!

## იქმნება ახალი გაერთიანება. რა ელის ნაბახუსევ უმრავლესობას?

**2007 წელი ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის, შესაძლოა, ერთობ მნიშვნელოვნად დაიწყოს. დეპუტატთა უმრავლესობამ ნაახალწლევს „პოხმელიიდან" გამოსვლაც ვერ მოასწრო, რომ კოლეგათა ნაწილმა უკვე ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნაზე დაიწყო ლაპარაკი. ჰოდა, „პოხმელიიდან" გამოსვლაც ასეთი უნდა, – ნაუცბათევი და მოულოდნელი. უმრავლესობას ოპოზიციის ახალი ინიციატივა ჯერ მხოლოდ ღიმილს ჰგვრის, მაგრამ ბოლომდე რომ გამოფხიზლდებიან, შესაძლოა, დასერიოზულდნენ კიდეც.**

**ნაახალწლევს უმრავლესობის ლაღი განწყობის წასახდენად რამდენიმე ოპოზიციურმა დეპუტატმა იზრუნა. ერთ-ერთი კახა კუკავაა. მისი თქმით, პირველ ეტაპზე არ არის ნავარაუდევი ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა, მთავარი ოპოზიციის გაერთიანებაა. ხოლო რა ფორმით მოხდება ეს, ამის თაობაზე შემდგომ ჩამოყალიბდებიან.**

– ჩემთვის მთავარი, სახელმწიფო ინტერესებია და არა – პარტიისა. შესაბამისად, მხარს დავუჭერ იმას, რომ კონსერვატიული პარტია კოალიციაში გაერთიანდეს, – თქვა კუკავამ.

კოალიციის წევრობაზე მოლაპარაკებები სხვადასხვა პარტიასთან უკვე მიმდინარეობს, თუმცა, ვარაუდობენ, რომ ეს ერთობა, ძირითადად, ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. კუკავა იმედოვნებს, რომ მათ ინიციატივაზე უარს არც გამოზრძმელილი პოლიტიკოსები იტყვიან. კონსულტაციები პარლამენტს გარე ოპოზიციურ ძალებთანაც დაეწყება. თუმცა, უკვე იციან, რომ ზოგიერთი მათგანი ამ კოალიციაში არ მოიაზრება. ასეთად ლეიბორისტულ პარტიას მიიჩნევენ, რადგან იციან მათი პოზიცია, რომ მხოლოდ დამოუკიდებლად, ყოველგვარი კოალიციების გარეშე გააგრძელებენ საქმიანობას.

კოალიციის წევრებად უკვე მოიაზრებიან მესამე სექტორის წარმომადგენლები – ლაშა ჩხარტიშვილი და ანა დოლიძე. კუკავას დასავლური ქვეყნების მაგალითი მოჰყავს, სადაც ნებისმიერ პარტიაში განახლების პროცესი მიმდინარეობს: იცვლებიან ლიდერები, კანდიდატები. ქართულ პოლიტიკურ პარტიებს კი კასტას ადარებს, სადაც დაარსების შემდეგ, შიგ აღარავის უშვებენ – 10-15 წელი ერთი და იგივე სპექტრი ჰყავთ. სწორედ ამის გამო გადაწყვიტეს, რომ ახალი წევრები მესამე სექტორიდან, საზოგადოებრივი მოძრაობებიდან მოიწვიონ.



მართალია, ჯერ კოალიცია არ შემდგარა, მაგრამ კუკავა უკვე დარწმუნებულია, რომ ერთობა აუცილებლად იქნება. არადა, კარგად გვახსოვს არჩევნების დროს ოპოზიციური პარტიების ვითომც გაერთიანება, რაღაც მემორანდუმზე ზარ-ზეიმით ხელის მოწერა და ა. შ. მაგრამ პირად ამბიციებს და პირველობის ჟინს ვერავინ თმოზდა. ერთიანი ძლიერი ოპოზიციური ძალა დღემდე რომ ვერ შეიქმნა, ამის მიზეზად კახა კუკავა სწორედ პირად ამბიციებს ასახელებს. სწორედ ამიტომ შეიცვალა ის შემადგენლობა, ვინც ამ კოალიციის ჩამოყალიბება ითავა:

– ვინც ამ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, პირად ამბიციებს უკუვაგდებთ. პირადად მე არ მაინტერესებს ამ ახალ გაერთიანებაში რა როლი და სტატუსი მექნება, ასევე ფიქრობს კოკა გუნცაძე და ბევრი სხვაც. ჩვენ გავერთიანდებით დიქტატურის წინააღმდეგ. ვიქნებით ისინი, ვისთვისაც ძვირფასია დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა, „თურქმენული" კონსტიტუციის შეცვლა. ხოლო, ვისთვისაც მთავარი თავისი პარტია, ლოგო და წესდებაა, კარგად შეინახონ, – დასძინა კუკავამ.

ახალ კოალიციაში უმრავლესობიდან დეპუტატების გადმობირებას არ შეეცდებიან, რადგან მიიჩნევენ, რომ უმრავლესობაში ამის მორალური რესურსი აღარ დარჩა:

– უმრავლესობის ზოგიერთი წევრისთვის მიზანი დეპუტატობა იყო. ირაკლი ქავთარაძე ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა. ეს მისი ოცნების მწვერვალია. ჩემი ამოცანა რომელიმე კოალიციის თავმჯდომარეობა და მოადგილეობა რომ ყოფილიყო, ამას ძალიან იოლად მივაღწევდი. მაგრამ ჩვენ უფრო დიდი ამბიცია გვაქვს – საქართველოს ერთიანობა და მისი ძლიერ, მდიდარ ქვეყნად გადაქცევა. ამიტომ გუბერნატორი ვიქნები, დეპუტატის თანაშემწე თუ სხვა, მნიშვნელობა არა აქვს, – დაასკვნა კახა კუკავამ.

ახალი კოალიციის წარდგენა, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოსთვის გაიმართება, როცა ძველი ახალი წელიც ჩავლილი იქნება და დეპუტატები ამ პროცესს თვალს უკვე ფხიზლად გაუსწორებენ.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ ინფორმაცია

### „თბილღვინოს" კუთვნილი შენობა ჩამოინგრა

**გუშინ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩის №2-ში „თბილღვინოს" კუთვნილი შენობა ჩამოინგრა.**

**წინასწარი ინფორმაციით, დაშავებულია ორი ადამიანი. შემთხვევის ადგილზე მობილიზებულია სამაშველო სამსახურები.**

**შენობის დემონტაჟზე მომუშავე ორი პირი – ჯინჭარაძე და ლექვანიძე ნანგრევებში მოყვნენ. ერთი მათგანი მსუბუქად დაშავდა, მეორეს კი სავარაუდოდ, ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდება.**

**როგორც თვითმხილველებმა განაცხადეს, ნაგებობა მაშინ ჩამოინგრა, როდესაც მუშები მის დემონტაჟს ახორციელებდნენ.**

### შალვას „სიზმარი" აუხდა?

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის განცხადებით, ბუნებრივ გაზზე ტარიფი გაზაფხულამდე არ გაიზრდება, რაც „ლეიბორისტების" დამსახურებაა.**

**– ჩვენ არაერთი საპროტესტო წერილი გავგზავნეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, სარჩელი შევიტანეთ თბილისის საქალაქო სასამართლოში, რამაც შედეგი გამოიღო და სააკაშვილმა და ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ხელი აიღეს განზრახვაზე გაზი გაეძვირებინათ საქართველოს მოქალაქეებისთვის, – განაცხადა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**შალვა ნათელაშვილის თქმით, გაზის ფასის გაზრდა აპრილის თვემდე გადაიდო. თუმცა, ლეიბორისტების ლიდერის განცხადებით, მისი თანაგუნდელები ტარიფის მატებას არც აპრილის შემდეგ დაუშვებენ.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 4. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2007 წელი.

# SIC!

● რატომ მოხდა, რომ ქართველებისა და ქართულის პატივისმცემელი ხალხი ასე გაგვირბის, ასეთი შეურიგებელია ჩვენს მიმართ, რომ ერთი წუთითაც აღარ სურს ჩვენთან ყოფნა? იქნებ, პოლიტიკოსთა გარდა, ფსიქოლოგებმაც იმუშაონ ამ საკითხის გასარკვევად. ჯერ ხომ სწორი დიაგნოზი უნდა დასვა, რომ სენს წარმატებით უმკურნალო!



◎ კონფლიქტის ზონა

# აფხაზეთის პრორუსულ ძალებს ამერიკაში მცხოვრები სომხები აფინანსებენ

## წინასაარჩევნო ანტიქართული გაიწი-გამატარე

**ორ თვეში აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. და აშკარაა, რომ პრორუსულ ძალებს იქ პოზიციების გამყარება სურთ. ამისათვის რამდენიმე პარტია იბრძვის. იბრძვის ბაგაფშიც. მის ხალხს უნდა, პრორუსული ძალებით მოვიდეს ხელისუფლებაში. ბაღაფშიც ცდილობს, პრორუსული იმიჯის შენარჩუნებას. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მისი გუნდის სულ რამდენიმე წევრს თუ უკავია ნამდვილად პროაფხაზური პოზიცია. დანარჩენები, გულწრფელად თუ ფარისევლურად, ერთი შეხედვით აშკარად რუსული პოლიტიკის გატარებას ცდილობენ. გამორიცხული არ არის, ეს უბრალოდ, თამაში იყოს და ბაღაფშის გუნდს ასეთი იმიჯი ხელს აძლევდეს.**



რასაკვირველია, რუსეთის ინტერესებში შედის, რომ არჩევნების შემდეგ იქ ფეხი პრორუსულმა ძალებმა მოიკიდონ, მაგრამ რუსები ამაში ფულს არ ხარჯავენ. კულუარული ხმებით, ამ მიზნით, ფული აფხაზეთში სომხების ამერიკული დიასპორიდან შედის. ამბობენ, რომ პრორუსული ინტერესების გამტარებელი „რუსეთის თანამემამულეთა პარტია“, რომელიც აფხაზეთში სულ ახლახან შეიქმნა, ძირითადად, ადგილობრივი სომხებით არის დაკომპლექტებული. აფხაზეთში მცხოვრებ სომხებს ამერიკელი თანამემამულეები რომ ეხმარებიან, ეს ახალი ამბავი არ არის. ცნობილია, რომ ამერიკის სომხური დიასპორა ეხმარება სომხებს, სადაც კი ისინი ცხოვრობენ — ყარაბაღში, ლიბანში, კვიპროსში, თავად სომხეთში. ასეთი ერთობა ებრაელებსაც ახასიათებთ. კარგი იქნებოდა, ქართველებსაც გვქონოდა ეს თვისება.

როგორც აღვნიშნეთ, რუსებს ხელს აძლევთ, რომ აფხაზეთის არჩევნების შემდეგ იქ ფეხი პრორუსულმა ძალებმა მოიკიდონ, მაგრამ მისი ფავორიტი ხაჯიმბა ძალზე სუსტი ფიგურა აღმოჩნდა — ის ვერ ლობირებს პრორუსულ ინტერესებს. რუსეთი ახლა, გარკვეულწილად, სომხებზე მუშაობს, რათა სომხურმა მოსახლეობამ პრორუსულ ძალებს მისცეს ხმა.

ცხადია, რომ ზოგიერთებს გალის რაიონში მიმდინარე პროცესების ეშინიათ, რადგანაც ამ რაიონის მოსახლეობა ხმას ერთსა და იმავე პარტიას, ან ერთსა და იმავე პიროვნებას აძლევს, მათი ხმები მობილიზებულია. ამდენად, ეს შეიძლება მავანს ხელს არ აძლევს და სურს იქ მუდმივად დაძაბულობა იყოს, რათა რაიონმა ან არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ან იმათ სასარგებლოდ მისცეს ხმა, ვინც ამ ძალებს უნდათ.

**საქართველოს ხელისუფლებამ კი, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ამ პროცესებში არანაირი პოზიცია არ უნდა გამოხატოს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, თუ საქართველოს ხელისუფლება ამ პროცესებში ჩაერევა, ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევს. უფრო მეტიც, შეიძლება ძალიან ბევრი წააგოს იმით, რომ აფხაზეთის მოსახლეობა საქართველოს წინააღმდეგ შეკრას.**

**მზია გელენავა**

◎ ინფორმაცია

### ხაზინაში ზედმეტად გადახდილი თანხა 50 მილიონი ლარია!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის გიორგი თაბუაშვილის ინფორმაციით, 2006 წელს ხაზინაში ზედმეტად ან ცდომილებით გადახდილმა თანხების რაოდენობამ 50 მილიონს მიაღწია.**

**ეს თანხა 15 ათასი ფინანსური ოპერაციის განხორციელების შედეგად დაგროვდა.**

**კონკრეტული საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელწოდება არ სახელდება. თუმცა, სიტუაციის გარკვევის შემდეგ, აღნიშნული თანხა კანონიერ მფლობელს უკან დაუბრუნდა.**

### ბანკომატების რაოდენობა გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2006 წელს ქვეყანაში ბანკომატების რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა.

2006 წელს საქართველოში ბანკომატების რაოდენობამ 298 ერთეულს მიაღწია მაშინ, როდესაც 2005 წელს მათი რაოდენობა — 140, ხოლო 2004 წელს 58 ერთეული დაფიქსირდა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ასე ფიქრობს „ქართული მენტალიტეტის“ ოსი

# დიმიტრი მედოევი: „მყავს ერის ლიდერი - ედუარდ კოკოითი“

## ე. წ. ალტერნატიული არჩევნები ცრუ-ს ოპერაციების ასლია



*მცირე დოსიე: დიმიტრი მედოევი დაიბადა 1960 წელს სტალინირში. ქალაქის მეექვსე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო-პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ოთხი წელი თბილისის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი იყო. ქართულ-ოსური კონფლიქტის გამწვავების გამო, ვეღარ მოასწრო დისერტაციის დაცვა „თემაზე — „ცენტრალური კავკასიის ტომების აღჭურვილობა ბრინჯაოს ხანაში“.*

*2001 წელს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური აკადემია დაამთავრა. იქვე დაიცვა დისერტაცია: „რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიაში: პრობლემები და პერსპექტივები“. მუშაობდა უღიარებელი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლად მოსკოვში. 2005 წლიდან არის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგით.*

*ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.*

**— დიმიტრი, შარშან ნოემბერში, უღიარებელ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში რეფერენდუმი გაიმართა. ცნობილია, რომ პირველი რეფერენდუმი 1992 წელს ჩატარდა. რა საჭირო იყო მისი გამეორება?**

— რეფერენდუმი დემოკრატიის ფორმის უმაღლესი ხარისხის გამოხატულებაა. მისი ჩატარება ნიშნავს, რომ ჩვენ მსოფლიო დემოკრატიისა და ცივილიზაციის ნორმების მომხრენი ვართ. პირველ რეფერენდუმზე გამოტანილი იყო ორი საკითხი: 1ძ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, 2ძ რუსეთთან შეერთება. ახლა კი ერთადერთი საკითხი განიხილებოდა — დამოუკიდებლობა. ამასთან, განვლილი 16 წლის მანძილზე გაიზარდა ახალი თაობა და ჩვენ ვალდებული ვართ ვიცოდეთ მისი აზრიც.

**— რაში გამოიყენებთ ამ რეფერენდუმის შედეგებს?**

— რეფერენდუმის შედეგები არაჩვეულებრივი იყო. ვინც კი მიიღო მონაწილეობა, ყველამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას. ახლა ჩვენთვის ერთი რამაა საინტერესო — მსოფლიოში ვინ აღიარებს ამას პირველი? პირადად, ვისურვებდი, რომ ეს საქართველო ყოფილიყო. ამას ლობირებას გავუწევდი, ოღონდ, ვიცოდე, სად? ავუხსნიდი ქართველ ხალხს, რომ ეს მათივე ინტერესებშია.

**— ეგ როგორ?**

— უბრალოდ, ქართველმა ხალხმა დიდი ხანია იცის, რომ არის საქართველო და არის სამხრეთ ოსეთი. უნდა მოილაპარაკონ ერთმანეთთან ამ არსებული ფაქტის გამო. ჩვენ ხომ ორივე მართლმადიდებელი ხალხი ვართ.

**— რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ შარშან, 6 დეკემბერს განიხილა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის განცხადება დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. რა შედეგებს ელოდებით?**

— რუსეთის დუმის დეპუტატები მიიჩნევენ, რომ სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმის შედეგები უნდა მიიღოს და გაითვალისწინოს მსოფლიო საზოგადოებრიობამ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობა და უსაფრთხოება აღნიშნულ რეგიონში და სამართლიანად გადაიჭრას ქართულ-ოსური კონფლიქტი(!ძ

საქართველომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ეს იყო ხალხის ნება-სურვილის გამოხატულება, რასაც თვალს ვერ მოუხუჭავ. სირაქლემას პოლიტიკა, რასაც ადგას საქართველოს ხელისუფლება, არ გამოდგება.

რეფერენდუმის შემდეგ სხვა ათვლა დაიწყო და ამას ადეკვატური რეაგირება უნდა მოჰყვეს. ველოდებით ცივილიზებულ, დემოკრატიულ პასუხს.

**— რა აზრისა ხარ ალტერნატიულ არჩევნებზე. როგორ ზეგავლენას მოახდენს იგი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და რუსეთთან ინტეგრაციულ პროცესებზე? კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხები ხომ არ წავა ალტერნატიული ხელისუფლებისაკენ?**

— ალტერნატიული ხელისუფლების იდეა დასავლეთის ნაკარნახევია. მისი მიზანი სხვა ფორმით ომის გაჩაღებაა. ამას წინ უსწრებდა ცხინვალში საახალწლოდ ომით შემოსვლის რიტორიკა. დასავლეთში ეს ფორმა არ მოიწონეს და პროექტი დაიხურა. ახლა დაიწყო სხვა პროექტი. მას „ოსეთის ხსნის კომიტეტი“ ახორციელებს და იგი უფრო საშიშია ორივე ხალხისთვის. გაუთვითცნობიერებელმა ხალხმა არ იცის, რა ხდება. მაგრამ, ვინც იცის უახლესი ისტორია, ისინი ადასტურებენ, რომ ასეთი ოპერაციები ტარდებოდა აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ის, რაც ერედვში ჩატარდა და ალტერნატიული არჩევნები უწოდეს, ასლია ცრუ-ს მიერ ჩატარებული ოპერაციებისა. უბრალო ქართველ ხალხს არავინ ეკითხება, რას ახვევენ თავზე.

ალტერნატიული არჩევნები საქართველოს პრობლემაა. ის ჩვენ არაფერში შეგვიშლის ხელს. ევროპულმა თანამეგობრობამ, რომელიც მონაწილეობს მოლაპარაკების პროცესში, მშვენივრად უწყის, ვისთან ითანამშრომლოს ფინანსურადაც და პოლიტიკურადაც. ის დიალოგს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან მართავს.

ნორმალური სახელმწიფოები თვითმარქვიებთან საქმეს არ იქონიებენ. რეალური ძალაუფლება კი — სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური — ედუარდ კოკოითის ხელშია.

**— რა შეიძლება იყოს სააკაშვილთან კოკოითის მოლაპარაკების თემა? რას სთავაზობს ოსური მხარე საქართველოს?**

— ოსები და ქართველები ძმები არიან, მაგრამ, თუკი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველებმა დამოუკიდებლობა ისურვეს, ჩვენც გვსურს ვიყოთ დამოუკიდებელნი.

**— დაბოლოს, ცნობილია, რომ „არ ვარგა ის ჯარისკაცი, ვინც გენერლობაზე არ ოცნებობს“. ხომ არ აპირებს დიმიტრი მედოევი, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში იყაროს კენჭი?**

— რატომაც არა! მაგრამ დღეს მყავს ლიდერი ერისა — ედუარდ კოკოითი და ყოველდღიურად ვმუშაობ მისი პოლიტიკის რეალიზაციისთვის, რომელსაც ვემხრობი. დღეს ეს რეალობაა. მომავალზე მომავალმა იფიქროს.

**ესაუბრა**
**ციალა კახნიაშვილი,**
**„სრ“ კორ. ცხინვალში.**

*P. S. დიმა მედოევი ჩემს თვალწინ გაიზარდა. მკვირცხლი, დაუზარელი, ღიმილიანი, კარგი მოქართულე ბიჭი იყო. ინტერვიუც ქართულად მომცა. ქართულს მას სკოლაშიც ასწავლიდნენ და ოჯახშიც. თავად ამბობს, რომ ოსური წარმოშობისა და ქართული მენტალიტეტის მქონე დედა, ქალბატონი ქეთევან თიგიშვილი უნერგავდა ქართულისა და ქართველების სიყვარულს. ქართულ-ოსური კონფლიქტის გამწვავებისას არ უშინდებოდა თანამემამულეთა რისხვას და, როცა მჭირდებოდა, საკუთარი ავტომანქანით ავყავდი ქართული სოფლის საზღვრამდე.*

*ახლაც არაა შორს ქართველებისგან. მოწიწებით მოიხსენიებს თბილისში თავისი საკანდიდატო თემის ხელმძღვანელს პროფესორ კიაზო ფიცხელაურს, ქართულის მასწავლებელს მარიამ მელაშვილს. ისევ განაგრძობს ურთიერთობებს თბილისელ და მოსკოველ ქართველებთან. მისი თქმით, მათს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა.*

*და მე მიჭირს თქმა, რატომ მოხდა, რომ ქართველებისა და ქართულის პატივისმცემელი ხალხი ასე გაგვირბის, ასეთი შეურიგებელია ჩვენს მიმართ, რომ ერთი წუთითაც აღარ სურს ჩვენთან ყოფნა? იქნებ, პოლიტიკოსთა გარდა, ფსიქოლოგებმაც იმუშაონ ამ საკითხის გასარკვევად. ჯერ ხომ სწორი დიაგნოზი უნდა დასვა, რომ სენს წარმატებით უმკურნალო!*

*ც. კ.*

**სწორედ ამ უბედურებას – მანკაბერდელობას – გულისხმობდა გიორგი ლეონიძე, როდესაც ნოველა „ჩორეხის“ პერსონაჟმა, „სამშობლოს ბედით მუდამ მჭმუნვარე, ჭირნანახმა, სევდით გულდალამებულმა, მხოლოდ წარსულის ტრფიალმა, კეთილშობილმა, თუმც ულვაწმა“ ჩორეხმა საქართველოს ეროვნულ უბედურებას პერსონიფიცირებული სახელი – ქართველთყლაპია – უწოდა**


გაგა შურღაია

**აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!**

# როდემდე კაცის კაცობა,

# ანუ „ქართუელთა ზედა უცხოთა ხელმწიფება“?!

მანკაბერდელობამ ნელ-ნელა იბარტყა ქართველის სულში და ეროვნული ცნობიერების რღვევა სულ მალე საქართველოს ეკლესიაშიც დაიწყო. სწორედ ასეთ ვითარებაში გამოეყო მას „დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის საკათალიკოსო“, როდესაც დასავლეთ საქართველოში საკალმასოდ ჩამოსულმა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელმა იმერეთის მეფე ბაგრატ II-ის თხოვნით, ისტორიული წყაროებისა და ფაქტების გაყალბებით, საერთაშორისო საეკლესიო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, XV საუკუნის 60-იან წლებში კათალიკოსად აკურთხა ცაიშისა და ბედიის არქიეპისკოპოსი იოვაკიმე. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობს, შეამსუბუქოს ამ ფაქტის სიმძიმე და მიუთითებს, რომ „[...] დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ყოველთვის იყო ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ცოცხალი და ძლიერი ნაწილი“; რომ იოვაკიმეს შემდეგ, მალაქია აბაშიძიდან (1529-1532ძ მოყოლებული მაქსიმე აბაშიძით (1776-1795ძ დამთავრებული უცხოელ პატრიარქს დასავლეთ საქართველოს არც ერთი კათალიკოსი აღარ უკურთხებია; რომ ხსენებული ფაქტით „[...] აფხაზეთის საკათალიკოსომ [...] აიმაღლა თავისი დამოუკიდებლობა ქართლის კათალიკოსის მიმართ“ (SIC!ძ და ა. შ., პირადად მე პრობლემის ამგვარი ახსნა საკუთარი თავის მოტყუებად მიმაჩნია.

უნდა ვაღიაროთ: ეს ფაქტი მეტყველებს ეკლესიის ერთიანობის რღვევაზე, ანუ თვით იმ ორგანიზმისაც კი, სადაც იერარქიული მორჩილება ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ავბედით, 1490 წელს საქართველოს სამეფოს სამეფო-სამთავროებად დაყოფა-დაშლის შემდეგ „[...] **საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დაცვას უფრო მეტი პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა: ამიერითგან მხოლოდ ის და მისი საჭეთმპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქი-ღა იყო საქართველოსი და ქართველი ერის მთლიანობის გამომხატველი**“. დღეს ამ ღრმა ჭრილობის გამრთელებას XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მესვეურთა დიდ მამულიშვილობას უნდა ვუმადლოდეთ: 1783 წელს მაქსიმე აბაშიძის კიევში გადასახლების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ფაქტობრივმა საჭეთმპყრობელმა, ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოს წერეთელმა საკუთარი თავის გაკათალიკოსობას დედაეკლესიის ერთიანობა არჩია. სხვათა შორის, ეს სწორედ ის გმირი დოსითეოს წერეთელი გახლავთ, რომელიც 1820 წელს დააპატიმრეს, როგორც რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ 1819-1820 წლების იმერეთის „აჯანყების უმთავრესი დამნაშავე“ და ტომარაში გამომწყვდეული მხცოვანი კაცი რუსმა სამხედროებმა რუსეთისაკენ მიმავალ გზაზე გორის სიახლოვეს ცემით გამოასალმეს სიცოცხლეს.

რატომღაც მგონია, რომ სწორედ ამ უბედურებას – მანკაბერდელობას – გულისხმობდა გიორგი ლეონიძე, როდესაც ნოველა „ჩორეხის“ პერსონაჟმა, „სამშობლოს ბედით მუდამ მჭმუნვარე, ჭირნანახმა, სევდით გულდალამებულმა, მხოლოდ წარსულის ტრფიალმა, კეთილშობილმა, თუმც ულვაწმა“ ჩორეხმა საქართველოს ეროვნულ უბედურებას პერსონიფიცირებული სახელი – **ქართველთყლაპია** – უწოდა. რა თქმა უნდა, ეს სახე მრავალნაირად შეიძლება, გავიაზროთ, მაგრამ მასში, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, უდარდელობა, გულარხეინობა, საქვეყნო საქმის ფეხებზე დაკიდება, ცხოვრების არსად, დანიშნულებად, მოწოდებად, მიზნად საკუთარი ყოფიერების ბოსტანში გულმოდგინე კირკიტი, წარსულისა და მომავლის სრული უგულებელყოფა, მისი არად ჩაგდება იგულისხმება, თუმცაღა, ქართველთყლაპიაში, შეიძლებოდა, აგრეთვე, დაგვენახა ყორღანაშვილობა და შადიმან ბარათაშვილობა, ანდა, საერთოდ, ბედისწერა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ქართველთყლაპიობა, როგორც მოვლენა, უწინარესად და უმთავრესად **„ქართუელთა ზედა ქართუელთა ჴელმწიფების“ უზენაესობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპის განქარვებას** ნიშნავს და ეს იმდენად სიღრმისეული, ხელშესახები მოვლენაა, ისე ცხადად იჩენს თავს ჩვენს ეროვნულ სულსა და ხასიათში, რომ დიდმა მწერალმა თავისი პოეტური, შეუმცდარი ინტუიციით კონკრეტულ, გასულიერებულ არსებად მოიაზრა და მას საკუთარი სახელი – **ქართველთყლაპია** და არა – **ქართველთყლაპიობა** უწოდა. ჩორეხმა პიროვნებად წარმოისახა იგი და საკუთარი სახელი დაარქვა: იგია საქართველოს უბედურებათა ერთობლიობა, სულიერ არსებასავით – ცოცხალი და პიროვნებასავით – თვითმყოფი.

ეს დამღუპველი იდეა, ქართველთყლაპიობა, მთლიანად ჩაენაცვლა დავით აღმაშენებლის ტიტანური ძალისხმევით აქსიომურ ჭეშმარიტებად, შეუვალ რეალობად ქცეულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის იდეას. ქართველობამ სიღრმისეულად იწამა, რომ ქართველს არ ძალუძს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმართვა, რომ იგი, შეიძლება, **შეუდარებელი კაცის კაცი იყოს, მაგრამ ვერასოდეს შეძლებს პირველკაცობას**. სწორედ ამიტომაც **იყვნენ** ჩვენი წინაპრები საქართველოსა და უცხოეთში სხვათა სახელმწიფოთა **შეუდარებელი, უნიჭიერესი მოხელეები** (დიახ, მოხელეები და არა მოღვაწენი, რადგანაც კაცის კაცი, შეიძლება, მხოლოდ მოხელე იყოს!ძ, რომლებიც, ამავე დროს, საარაკო თავგამოდებით ებრძოდნენ ისტორიის ქარტეხილებს სასწაულებრივად გადარჩენილ ქართული სახელმწიფოებრიობის ძვლისძვალი იდეის ნამსხვრევებს. ამიტომ აღმოჩნდა ამაო საქართველოს ისტორიისათვის უმძიმეს, XVII საუკუნეში მამულიშვილთა დიდი კრებულის თავგანწირული ბრძოლა მორიგი კაცის კაცების წინააღმდეგ და ამ საუკუნემ კიდევ უფრო განამტკიცა შხამიანი რწმენა იმისა, რომ **ქართველის სულს ჩაკირული ქართველთყლაპია მძიმე სენი კი არა, არამედ მართლზომიერი მოვლენა** იყო. ქართველმა დაკარგა საკუთარი თავის რწმენა და სისხლხორცეულად იწამა, რომ მარტო, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, ვერაფერს იღონებდა. ამიტომაც, 1722 წელს პეტრე I-ის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ წამოწყებულ ომში ჩათრეულმა და მარტოდ შთენილმა, გაგულისებული შაჰ-თამაზ II-ის მიერ 1723 წელს ქართლის მეფობაწართმეულმა ვახტანგ VI-მ, რომლის საბრძანებელი აღემატებოდა თეიმურაზ II-ის სამეფოს ტერიტორიას, მას შემდეგ, რაც თურქებმა მათ მიერ დაპყრობილი ქართლის გამგებლობა მის ძმას, იესეს უფეშქაშეს, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ იმაში იპოვა, რომ 1724 წელს ინტელექტუალური ძალებისაგან დაშრიტა თავისი სამეფო, მაშინდელ სახელმწიფო-კულტურულ ელიტასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა და შემდეგ, რუსეთში სამუდამოდ ჩარჩენილმა, ბედის ანაბარად მიატოვა.

**სულში ქართველთყლაპიაჩაკირული ერი ვერა და ვერ ჩააყენებს უცხო ძალას თავის სამსახურში**. ამ თვალსაზრისით ფუჭად დაიშრიტება ყველაზე კეთილშობილური ძალისხმევაც კი, რადგანაც, თუნდაც, კეთილი მიზნით ქვეყანაში შემოყვანილ უცხო ძალას ვერა და ვერ გააწონასწორებს სულგატეხილი და სხეულდადამბლავებული ერი. ბიზანტიელებზე დაყრდნობით, აშოტ კურაპალატმა „ქართველთა სამეფო“ დააფუძნა, რადგანაც ქართველთა სულს ჯერ კიდევ არ მოსდებოდა ქართველთყლაპია. სპარსელებზე დაყრდნობით კი საქართველოს სამეფოს აღდგენა ვერ შეძლო გიორგი სააკაძემ, რადგანაც უცხო ძალა სულგატეხილი და სხეულდადამბლავებული საქართველოს სამსახურში კი არ ჩადგა, არამედ, პირიქით, მან თავად იმსახურა სულში ქართველთყლაპიაჩაკირული ერი.

უბედურებაა, პიროვნული და საზოგადოებრივი უბედურებაა, როდესაც ერს საკუთარი თავისა არა სწამს!

ქართველთყლაპიამ შინაგანი ძალა გამოგვაცალა, როგორც ინდივიდებს და, ამავე დროს, **სასაცილო კომედიანტებად** გვაქცია. ერთი მხრივ, მან ღრმად ჩაგვაგონა, რომ ნებისმიერი უცხოელი ჩვენზე უკეთესია; თხემით ტერფამდე სწორედ ამიტომ გვზაფრავს უცხოური გვარების გაგონება, შინაგანად ვართ დარწმუნებული, რომ ნებისმიერი აზრი, ცნება, შეხედულება უფრო ღირებულია, სარწმუნოა, თუ მას უცხოელი ავტორი ჰყავს, ან უცხოურ გამოცდილებას ემყარება. მეორე მხრივ, კი ჩვენი არტისტული (დავით კლდიაშვილისეული, უკიდურესად უარყოფითი გაგებითძ სული და ცრუ თავმოყვარეობა საშუალებას არ გვაძლევს, საცნაური გავხადოთ ჩვენი შინაგანი რწმენა. ამიტომაც არაადეკვატური, ავადმყოფური რეაქცია გვაქვს ყველასა და ყველაფერზე მაშინაც კი, როდესაც ვინმე ტაქტიან და, რაც მთავარია, სამართლიან და კონსტრუქციულ რჩევას გვაძლევს. სამწუხაროდ, იშვიათი იშვიათობაა საპირისპირო მაგალითები.

გარეგნული თავდაჯერებლობით შეკაზმულ საკუთარ შესაძლებლობებში შინაგან ურწმუნობას კი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის ურწმუნობა მოაქვს!

საზოგადოდ, კაცის კაცობა პიროვნულ უბედურებად მეჩვენება იმის გამო, რომ, უპირველეს ყოვლისა, იგი ნიშნავს ღვთისაგან ბოძებული ყველაზე ძვირფასი პიროვნული საგანძურისაგან, ადამიანის ინტელექტუალური რესურსებისაგან ულმობელ და ნებაყოფლობით გაძარცვას, განადგურებას, უხმარად დაგდებას, კერპებად ქცევას, რომელთაც **„პირ ათქს, და არა იტყჳან; თუალ ასხენ, და არა ხედვენ. ყურ ასხენ, და არა ყურად-იღებენ, რამეთუ არცა არს სული პირსა მათსა**“ (ფსალმ. 134:16-17; შდრ. ფსალმ. 113:13-15ძ.

ნიშნავს: ღვთისაგან ბოძებულ პიროვნულ თავისუფლებაზე, განსჯა-აზროვნებაზე, ინდივიდუალობაზე, ნიჭსა და ღირსებაზე ნებაყოფლობით უარის თქმას.

ნიშნავს: ალტერნატიული გადაწყვეტილების, ვარიანტების მოძიების შესაძლებლობის გამოუყენებლობას.

ნიშნავს იმას, რომ კაცის კაცის სიტყვას, ქმედებას, განზრახვას, შეპირებას ვერ ირწმუნებ, რადგანაც არა იქნება მისი „ჰჱ ჰე და არაჲ არა“ (მათ. 5:37; იაკ. 5:12ძ, რადგანაც ერთსაც და მეორესაც მის უკან მდგარი კაცის ნება-სურვილი განაპირობებს.

დაბოლოს, ნიშნავს გაუპიროვნულობას, ნამოქმედარისათვის უპასუხისმგებლობას, სხვაზე გადაბრალებას.

ამრიგად, კაცის კაცობა ჩვენს ბუნებაში აღბეჭდილ **ღმრთის ხატისა და მსგავსების** (დაბ. 1:26ძ **წარხოცვა-განქარვებას** ნიშნავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ (რადგანაც ისევ ღმრთისაგან მონიჭებული გონებისა და თავისუფლების წყალობით, საბოლოოდ, თავად პიროვნება წყვეტს, იყოს თუ არა მორწმუნეძ, კაცის კაცობა ყოველივე იმის **წარხოცვას ნიშნავს, რაც ადამიანს ყველა სხვა არსებისაგან განასხვავებს**.




**გაგა შურღაია,**

**საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა' ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების კათედრის მკვლევარი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკის მეცნიერი კონსულტანტი.**


**რომი, 2006 წლის ოქტომბერი – 2007 წლის იანვარი.**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 3.**

№ 4. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2007 წელი.

# მწარე სინამდვილე

- 70 წელი მთელი რუსეთი საქართველოს ხილით იკვებებოდა და ახლა გახდა უვარგისი?



◎ ამორალური „პოლიტიკა“

## თუ მთავრობა არ მოგწონთ, ეს რა გლეხის ბრალია?

### წერილი რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ვლადიმერ პუტინს

**ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, გაწუხებთ ვინმე ალან თორელი, ჟურნალისტი და მწერალი. მე არ გახლავართ ქართველი, მაგრამ მაინც ქართველი გლეხების სახელით დაგელაპარაკებით. გლეხი, როგორც იტყვიან, აფრიკაშიც გლეხია და რუსეთშიც და, თუ ხელი არ შეეწყო, ქალაქად მცხოვრებიც მშიერი დარჩება და თვითონაც.**

ბოდიშს გიხდით, რომ წერილის დაწყება ამ ელემენტარული ცნების შეხსენებით დამჭირდა. რა ვიცი, კრემლის სასახლეებში გადასვლის შემდეგ იქნებ დაგავიწყდათ, რომ მილიარდერების ჩრდილში ჯერ კიდევ არსებობენ ვიღაც გლეხუჭები, რომლებსაც საკუთარი თვითმფრინავების კი არა, შავი პურის ყიდვაც არ შეუძლიათ.

რა ქნას ამ საცოდავმა გლეხმა? ვის მიმართოს? იქნებ რევოლუცია მოაწყოს ახალი – ვარდების? მაგრამ ვის-ვის და, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ რევოლუციებს გლეხები და მუშები არ აწყობენ, როგორც ამას გვასწავლიდნენ სკოლებში და ინსტიტუტებში. თქვენ წარმოიდგინეთ, სახელოსნო სასწავლებლებშიც კი. ჰოდა, თუ გლეხს რევოლუციის მოწყობა არ შეუძლია, რა დაგიშავათ ან თქვენ, ან ბატონ ონიშჩენკოს? ხილი, ბატონო, ბუნების მოცემულია, თუმცა მთელი ზაფხული შვილივით უვლის გლეხკაცი ბუნების ნაჩუქარს და მთელ წელს საზრდოობს იმით.

70 წელი მთელი რუსეთი საქართველოს ხილით იკვებებოდა და ახლა გახდა უვარგისი? კოლხეთის დაბლობი საბჭოთა კავშირის დახმარებით და სახსრებით გადაიქცა ციტრუსების და ჩაის წალკოტად და ახლა გახდა დასაწუნი იქაური ჩაი და მანდარინი? ქართული ღვინო თუ არ გამოირჩეოდა ხარისხით, ვისი ბრალი იყო ეს? ცენტრალური კომიტეტიდან რომ მოდიოდა განკარგულება განკარგულებაზე, არიქა, გაზარდეთ ღვინის მოწოდებაო, საიდან უნდა გაზრდილიყო, თუ შიგ წყალს არ ჩაამატებდი? თანაც, რომ არა იაფი ქართული ღვინო, მთელი რუსეთი ხომ ამოწყდებოდა ოდეკოლონისა და დენატურატის სმით?

ახლა ეკრძალება ქართველ კაცს რუსეთში გამოჩენა. იმ რუსეთში, სადაც ათასობით ლიტრი სისხლია ჩაქცეული ქართველი კაცისა არა მარტო დიდ სამამულო ომში, რევოლუციის დროსაც და პირველ მსოფლიო ომშიც. ჯერ ხომ იხსენიება მელიტონ ქანთარია? თუ, როგორც სხვანი და სხვანი გმირნი ქართველნი, რომელიღაც გენერალ პეტრე ბაგრატიონის მსგავსნი, უკვე მიეცნენ დავიწყებასა ბატურინების, დერიპასკოების, აბრამოვიჩების და მსგავს უმსგავსობათა გვერდით?

ბოდიშს გიხდით (თუმც საბოდიშო აქ არაფერია), მაგრამ ეს წერილი დამაწერინა იმ უპატრონობამ, რაც „ტრანსკამზე“ ზარამაგთან ხდება: მანდარინით დატვირთული ავტომანქანები ერთი თვეა დგანან და ელიან გზის გახსნას რუსეთისკენ. მანდარინი იყინება და ლპება, გლეხს სარჩო ელუპება და ცოლ-შვილი მშიერი ურჩება. თუ კრემლის ხელმძღვანელობას ფეხებზე ჰკიდია საქართველოს მთავრობა, გლეხმა, ისევ გლეხმა რა დააშავა? შემოვიდნენ გადამყიდველები რუსეთიდან და თვითონვე გაზიდონ საქონელი, ოღონდ გლეხს ნუ გაუცრუვდება იმედი ცხოვრებაზე.

**ეს „პოლიტიკა“ ერთ ანდაზას მაგონებს: ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო ცემაო. საქართველოს მთავრობასთან, როგორც უნდათ, ისე ილაპარაკონ, ოღონდ გლეხს ნუ მიატმასნიან დიდ პოლიტიკას.**

**ალან თორელი**

◎ გლობუსი

## უნუგეშო, უსიხარულო

***ახალი წლის პირველი დღეები და პირველი დემოკრატიული სიხარული სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები იყო. საბჭოთა სისტემისათვისაც შესაშური წესებით ჩატარებულმა „არჩევნებმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურა საით მიდის „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყანა. ასე უწოდებს საქართველოს აშშ-ს ოფიციოზი. თუ თვალს გადავავლებთ ახალი ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ჩატარებულ ყველა არჩევნებს, უეჭველად შევნიშნავთ პროგრესს ხელისუფლების სასარგებლოდ და რეგრესს დემოკრატიულობის თვალსაზრისით. უნივერსიტეტთან შედარებით, ადგილობრივი არჩევნები, რომელმაც ოპოზიციის თითო-ოროლა წარმომადგენელს მაინც მისცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში გასვლის შანსი, დემოკრატიულობის საუკეთესო ნიმუშად ითვლება.***

2007 წელს ხელისუფლება ფორსირებული ძალებით შეეცდება სამინისტროების და ადგილობრივი მმართველობის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა რგოლში სანდო კადრების „არჩევით“ იმ აუცილებელი პლაცდარმის შექმნას, რასაც 2008 წლის წარმატებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჰქვია. ნაციონალური ხელისუფლების შეუპოვარი საარჩევნო ხასიათიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ის, 2004 წლიდან დაწყებული, მუდმივი არჩევნების რეჟიმში ატარებს თითქმის ყოველ საათსა და დღეს, რაც შესაშური გულმოდგინებით ასახავს ხელისუფლების კონტროლსდაქვემდებარებული მასმედია. ქართული ტელეკომპანიები ისეთი სიხალისით უყვებიან მოსახლეობას გაცვეთილ და ბანალურ თემებზე, როგორებიცაა: ქუჩების დასუფთავება, მეეზოვეთა კონკურსი, ავტობუსებში ბილეთების გაყიდვა და სხვა მრავალი, თითქოს ასეთს ადგილი არა აქვს დედამიწის ზურგზე. ცნობისათვის, არც ერთი ნორმალური ქვეყნის ნორმალური ტელევიზია სანუკვარ საეთერო დროს არ დახარჯავს მსგავსი აბსურდისათვის. თუმცა რა გაეწყობა – წინ არჩევნებია და ასეთ სატელევიზიო მარგალიტებს უხვად ვიხილავთ 2007 წელს.

სხვა, უფრო სერიოზულ თემებზე იქნება საუბარი წინასაარჩევნო წელს, ვთქვათ ისეთებზე, როგორებიცაა: გაზით მომარაგება, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, საერთაშორისო სარბიელზე ქართული პოლიტიკისა და დიპლომატიის წარმატებები, რუსეთთან ურთიერთობები, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხები, ნატოში გაწევრიანება და სხვა. მოსახლეობის მოსახიბლ თემებს რა გამოლევს, მით უმეტეს მოსახლეობაც ისეთია, რასაც ჩასძახებ, ათჯერ სახელისუფლებოს რომ ამოგძახებს. მოსახლეობის და ხელისუფლების მტკიცე შეკავშირე-



ბის და საერთო სიხარულის ამსახველი მრავალი მაგალითის მოწმე გავხდით საახალწლო გრანდიოზული გოზინაყის, ხაჭაპურის და განსაკუთრებით საცივის ჩამორიგების დროს. სახლიდან სპეცჭურჭლით აღჭურვილი მომავალი ელექტორატი თავდავიწყებით იღვწოდა საცივის დასაპყრობად. დაიპყრო კიდეც, საახალწლო, საგინესო ნობათი. ასეთი ელექტორატით ნებისმიერ არჩევნებს მოიგებ.

2007 წელი სხვა მხრივაც იქნება რთული. გაგრძელდება ისრაელისა და პალესტინის ავტონომიას შორის, თვით პალესტინაში, ჰამასისა და ფათეჰის დაპირისპირება. მიუხედავად აშშ-ს ადმინისტრაციის სიჯიუტისა, ერაყის ომთან დაკავშირებით, მიმდინარე წელი ამ საქმეში გარდამტეხი იქნება. აშშ-ს დემოკრატიული კონგრესი აიძულებს სხვაგვარად მოაზროვნე ბუშს შეცვალოს კურსი. დემოკრატიულ კონგრესს სხვა რა გამოსავალი აქვს? ანტისაომარ ტალღაზე არჩეული კონგრესი ვალშია საკუთარი ამომრჩევლის წინაშე. ამერიკა საქართველო არ არის, რომ დაპირება არ შესრულდეს. შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნება 2008 წელს, თეთრ სახლში, დემოკრატი პრეზიდენტის გამოჩენა.

2007 წელსაც გაგრძელდება ირანის დაუოკებელი ლტოლვა საკუთარი ბირთვული პროგრამის შექმნისათვის, რეგიონის ლიდერობისათვის. წინა წლების მსგავსად გაგრძელდება ჩინური ეკონომიკური საოცრება. პეკინი ზედმეტი ხმაურის გარეშე გააგრძელებს ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეღწევას. ამის მაგალითები საქართველოშიც უხვად არის. ევროკავშირს და დიდ რვიანს გერმანია უხელმძღვანელებს. წელს გერმანია მასპინძლობს დიდი რვიანის სამიტს.

დაძაბული იქნება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა. ის, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცევა. კითხვა, რომელიც ყველას აწუხებს, პუტინის პრეზიდენტად დარჩენა-არდარჩენასთან დაკავშირებით, მოჭარბებულად აქტუალური იქნება წინასაარჩევნო 2007 წელს, ისე, როგორც სხვა კითხვები, მაგალითად, ვინ შეცვლის მას? ვის მიეცემა ბირთვული იარაღის კონტროლის შანსი?

2007 წელს მსოფლიო პოლიტიკის ორი მძიმეწონიანი პოლიტიკოსი დატოვებს პოლიტიკას: საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი. მათ ნაცვლად ახალი სახეები გამოჩნდება, მათ შორის ქალი, საფრანგეთის თანამედროვე ისტორიაში პირველი. მიმდინარე წელს გაეროს ახალი გენერალური მდივნის, პან გიმუნის დებიუტის წელია. როგორ შეხედავს ის მსოფლიო პრობლემებს, განსაკუთრებით ცხელ თუ გრილ წერტილებს, კონფლიქტურ კერებს საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა მიიპყრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას, ტერორისტული აქტებით დაწყებული, ავღანეთში მიმდინარე ომით, დარფურის პრობლემებით, სომალის კონფლიქტით დამთავრებული. 2007 წელსაც გაგრძელდება ქრისტიანთა და მუსლიმანთა, შიიტთა და სუნიტთა შენიღბული, ფარული თუ ღია დაპირისპირება;

ყველა აღნიშნული თუ აღუნიშნავი საკითხი და პრობლემა პირდაპირ თუ ირიბად ერთმანეთთანაა დაკავშირებული, გადაჯაჭვულ-გადანასკვული და აქედან გამომდინარე სცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს. აღნიშნული საკითხები საქართველოსაც ეხება, რამეთუ სიმცირისა და სისუსტის მიუხედავად, ჩვენც, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, იმ საერთაშორისო ფერხულში ვართ ჩაბმული, რასაც მსოფლიო თანაცხოვრება ჰქვია. და რახან მრავალი საუკუნის შემდეგ, ბედმა ისევ გვარგუნა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ჩვენი ვალია ქართული ეშმაკობა-მაქინაციების გარეშე მივილოთ ჩვენამდე დაწესებული თამაშის წესები. ქართული პოლიტიკა არ უნდა აგრძელებდეს პრეზიდენტყოფილის პროვინციულ დიპლომატიას, ვიღაცის მოტყუებით, დიდების ერთმანეთთან წაკიდებით, სხვა ისეთი მიუღებელი ქმედებით, რომელმაც უკიდურესად მძიმე ვითარებაში მოაქცია ქვეყანა. ქართული პოლიტიკა არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ პირად სიმპათიებსა და ანტიპათიებს, არ უნდა ჰგავდეს სკოლაში ბავშვთა კინკლაობას, როდესაც მეხუთეკლასელს დასახმარებლად ტანსრული მეათეკლასელი მოჰყავს. ერთ პირზე, ერთ პოლიტიკოსზე, ერთ პოლიტიკურ გუნდზე გაკეთებული აქცენტი ნაკლებადმომგებიანია, ვინაიდან დასავლეთში არსებული დემოკრატიული არჩევნები გამორიცხავს ჩვენი რჩეულის სამარადისო ყოფნას ქვეყნის სათავეში. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბუშის ადმინისტრაციას, მომავალი საპრეზიდენტო ბატალიებიდან გამომდინარე ნაკლები დრო ექნება, ქართველ პოლიტიკოსთა მხრიდან, რუსეთის მიმართ, გაკეთებული და მოჭარბებულად ამბიციური განცხადებების მოსმენისათვის. რუსეთი, თავისი ეკონომიკურ-ენერგეტიკულ-სამხედრო-ბირთვული პოტენციალით ნამდვილად არ არის ის ქვეყანა, ვისაც აშშ-ი ან ევროკავშირი ან გაერო ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საქართველოს გამო მამასისხლად გადაეკიდოს. ქართველ პოლიტიკოსებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ საქართველომ, რაც არ უნდა „ჩაუშვას“ რუსეთი აშშ-ი ან ევროკავშირში ან ევროსაბჭოში საბოლოო „ჩაშვებულები“ ჩვენ დავრჩებით. 2007 წელს მაინც შევეცადოთ არავინ „აგვაგდოს“ სხვის წინაალმდეგ, არ გვიხმაროს მყეფარე ოთხფეხა ცხოველივით. გვახსოვდეს, რომ მოფარებულში მყოფ წამქეზებელს არაფერი ხდება, წაქეზებულს კი ცემა არ ასცდება. ასეთს, არაერთხელ ჰქონია ადგილი მსოფლიო ისტორიაში. ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს მსოფლიოში არც მძლავრი დიასპორა და არც მძლავრი მხარდაჭერა არ გააჩნია და იმას, რასაც სხვას აპატიებენ, ჩვენ არავინ გვაპატიებს.

იხ. 6 გვ.

№ 4. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2007 წელი.

● პატარა ქვეყნის ვალია დახვეწილი დიპლომატია, სწორედ ის უნდა იყოს ქვეყნის წარმმართველი ძალა და არა ოქრუაშვილ-კეზერაშვილის „ნაწრთობი“ არმია



◎ კიდევ ერთი შანსი

# საქართველო მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის მონაწილეა

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, 2006 წლის 15 დეკემბრიდან საქართველო გაწევრიანდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში, რაც სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის სტატისტიკური სისტემის განვითარების თვალსაზრისით და გულისხმობს საქართველოში სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების პრაქტიკის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის გამოქვეყნებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სტანდარტების ბიულეტენის სტენდზე.**

ზემოაღნიშნულის თაობაზე ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა, ასევე სტატისტიკის დეპარტამენტმა. მათი აზრით, **„მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში მონაწილეობა საქართველოს აძლევს შანსს, შემდგომ განავითაროს ქვეყნის სტატისტიკური სისტემა — მონაცემთა ხარისხის ამაღლების, დროულობისა და საიმედოობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. უახლოეს პერსპექტივაში კი საქართველო მიუერთდება მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს, რაც ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას, ჰქონდეს წვდომა და შეღავათები კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე“.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკური დეპარტამენტის დირექტორი რ. ედვარდსი მიესალმა საქართველოს გაწევრიანებას მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში და აღნიშნა, რომ: **„საქართველოს გაწევრიანება მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემაში ქვეყანაში სტატისტიკის განვითარების საკვანძო საკითხია. იგი ხელს შეუწყობს ქვეყანას გააძლიეროს თავისი სტატისტიკური შესაძლებლობები იმისათვის, რომ შეუერთდეს მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს, რომლის ნებაც უკვე გამოითქვა საქართველოს მხრიდან“.**

მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინიციატივით 1997 წელს დაფუძნდა. იგი მექანიზმია, რომელიც ეხმარება ქვეყნებს, განავითარონ თავიანთი სტატისტიკური სისტემები ყოვლისმომცველი და ხარისხიანი სტატისტიკის წარმოების მიზნით. საქართველო მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის მონაწილე 93-ე ქვეყანაა. ამჟამად მონაცემთა გავრცელების ზოგადი სისტემის მონაწილე ექვსი ქვეყანა ემზადება მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტში მონაწილეობისთვის, რომელიც ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერაა დაფუძნებული (მარტი, 1996წ) და ხელს უწყობს ქვეყნებს კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე მონაწილეობის თვალსაზრისით.

მონაცემთა გავრცელების სტანდარტების შემოღების მიზანია ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო მასშტაბით, რაც უზრუნველყოფს დაბალანსებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას და პოტენციური პარტნიორებისა და ინვესტორების დაინტერესებასა და ნდობას მოცემული ქვეყნისადმი.

**საქართველოში ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების წარმოებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებელი ორგანოებია საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები, სტატისტიკის დეპარტამენტი. ამ უკანასკნელს აკისრია ეროვნული კოორდინატორის ფუნქციები მონაცემთა გავრცელების საქმეში.**

**ლალი ქინქლაძე**

◎ გლობუსი

# უნუგეშო, უსიხარულო

(მეხუთე გვერდიდან)

მხოლოდ გაწონასწორებული, გონივრული, ბალანსირებული, დაფიქრებული პოლიტიკითა და დიპლომატიით შეუძლია საქართველოს მსგავს პატარა და სუსტ ქვეყანას, ზობოქარ ოკეანეში ცურვა და არა ყოყლოჩინობით, დროშების გაუთავებელი ფრიალით, მოჩვენებითი ზეიმებითა და გინესის რეკორდების მოსაპოვებელი ხაჭაპურების კეთებით. გვახსოვდეს, რომ პოლიტიკოსის სიტყვა ტყვიაზე მომაკვდინებელია. ის პოლიტიკურ საცერში გაივლის და სრული მოსალოდნელია უხერხულად გადაელობოს წინ.



საქართველომ გაუთვლელი, აუწონავი წინადადება არ უნდა წამოაყენოს, ვინაიდან მას მსოფლიო არ დაუჭერს მხარს, თითო-ოროლა არასერიოზული უცხოელი „გულშემატკივარის“ გულისგასამაგრებელი სიტყვა საქმის წარმატებული გადაჭრის გარანტად არ უნდა მივიჩნიოთ.

აღნიშნულის დასტურად სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის პიტერ სემნების დასკვნებიც კმარა, რომელიც მან გასული წლის დეკემბერში გააკეთა, რეგიონში ვიზიტის შემდეგ. სემნებმა უკუაგდო ქართული მხარის კატეგორიული მოთხოვნა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ფორმატის შეცვლის თაობაზე. მისი თქმით, არსებულ ფორმატს არ ამოუწურავს პოტენციალი. მან პირიქით მოუწოდა მხარეებს, აღნიშნულ ფორმატში გაააქტიურონ მოქმედება. ევროკავშირის წარმომადგენლის მიხედვით ვითარების მოსაწესრიგებელი სხვა ბერკეტების ძებნა მას შემდეგ უნდა დაიწყოს, როდესაც ამოიწურება არსებული შესაძლებლობები. სპეცწარმომადგენელმა კატეგორიულად უარყო ქართული მხარის მოთხოვნა მოლაპარაკების პროცესში სანაკოევის ხელისუფლების ჩართვის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ რა უკბილოდ გამოიყურებოდა სანაკოევის ინაუგურაციაზე ჩასული კონფლიქტების ქართველი „მომწესრიგებელი“ ანთაძე. მისი „ბრძნული“ განცხადება — რეგიონში ახალი პოლიტიკური ძალა გაჩნდა და მას ანგარიში უნდა გაეწიოსო, კარგა ხანს დარჩება იმ მაგალითად, თუ როგორი არ უნდა იყოს დიპლომატია. ანთაძის „დიპლომატობა“ კარგად არის ცნობილი საქმეში ჩახედულთათვის, მაგრამ უმეცრებასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი? ანთაძის მოწოდება თავიდანვე იყო განწირული. მას 4 მხრიდან მხოლოდ ანთაძე უჭერს მხარს. წინადადება ეუთოსათვისაც მიუღებელია. სწორედ ასეთი პოლიტიკა ართულებს ვითარებას, აძლიერებს კონფლიქტებს, აჭიანურებს საკითხის გადაწყვეტას. ის, რომ კონფლიქტების მოწესრიგებისადმი ძველებური მიდგომა აღარ ჭრის და მხოლოდ დროის გაყვანას ემსახურება, უპირველესად ქართული მხარისთვის უნდა იყოს ცნობილი. აშკარად ჩანს, რომ პოლიტიკის შეცვლაა საჭირო, მაგრამ არის საქართველო ამისთვის მზად? დრო სეპარატისტთა წისქვილზე ასხამს წყალს.

როდესაც პოლიტიკის შეცვლაზე ვსაუბრობთ, უპირველესად რუსეთს ვგულისხმობთ, სწორედ მის მიმართ უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება. დასავლეთში ისე აღარ ჭრის ქართული მხარის მიერ დაყენებული, რუსეთის გასაშავებელი ფორმულა — კრემლს იმიტომ აქვს ანტიქართული პოლიტიკა, რომ ვერ ეგუება საქართველოს ხელისუფლების სანუკვარ ოცნებას ნატოსა და ევროპაში ინტეგრირების გამო. იმავე დასავლეთს უფრო სერიოზული და პრორუსული არგუმენტები გააჩნია. საბჭოთა იმპერიამ მთელი აღმოსავლეთ ევროპა დათმო. დღეს ის ქვეყნები ნატოსა და ევროკავშირის წევრებია. რუსეთი უფრო შორს წავიდა, ჩამოურიგა რა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს დამოუკიდებლობა. უფრო მეტიც, რუსეთმა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანასთან გაწყვიტა ის „ინტერნაციონალური ვალდებულება“, რომლითაც ცნობილი იყო საბჭოთა იმპერია. ბევრს კარგად ახსოვს, ორპოლუსიანი მსოფლიოს დროს თუ როგორ სცემდა შიშის ზარს მეორე პოლუსს და დანარჩენ მსოფლიოს საბჭოეთი თავის სატელიტებთან ერთად, მაგრამ ხომ დათმო. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მხოლოდ იძულების შედეგად მოხდა ყოველივე. მთავარი მისი სურვილი იყო. რა ვართ ისეთი, რომ არ ეთმობა რუსეთს? იქნებ სხვაშია საქმე?

დასავლეთისათვის დათმობა-არდათმობის ფორმულაში ახალი არაფერია. დასავლეთის ყველას თუ არა ბევრ ქვეყანას ჰქონდა და აქვს მსგავსი ან მიახლოებული პოლიტიკა საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნების და ყოფილი თანამგზავრების მიმართ. დასავლეთისთვისაც კარგად არის ცნობილი დიდი სახელმწიფოს ამბიციები. ისინიც ხომ ანალოგიურად, შესაძლოა შედარებით უფრო რბილად იქცეოდნენ, ვიდრე ამ ეტაპზე უხეში დათვი? ბუნდოვანი პოლიტიკის მატარებელი პატარა ქვეყნისათვის შედეგი ხომ ერთია? დედამიწაზე მოსახლეობის და ტერიტორიის სიმცირით მარტო საქართველო ხომ არ გამოირჩევა? აქ სხვაშია საქმე. უპირველეს ყოვლისა სიბრძნეში. პატარა ქვეყნის ვალია დახვეწილი დიპლომატია, სწორედ ის უნდა იყოს ქვეყნის წარმმართველი ძალა და არა ოქრუაშვილ-კეზერაშვილის „ნაწრთობი“ არმია. მხოლოდ გონებაგახსნილ, საქმის მცოდნე, გამოცდილ, მიმტევებელ პოლიტიკასა და დიპლომატიას ძალუძს პატარა და პრობლემებით აღსავსე ქვეყნის გადარჩენა.

გასული წლის შემოდგომაზე გამოვიდა გერმანიის ყოფილი კანცლერის გერჰარდ შრიოდერის წიგნი, სადაც ავტორი ხაზს უსვამს რუსეთის მსოფლიო როლსა და მასთან დამოკიდებულებას. ყოფილი კანცლერი იხსენებს 1998 წელს, აშშ-ს პრეზიდენტთან, ბილ კლინტონთან საუბარს. კლინტონი აღნიშნავდა თუ რამდენად სახიფათო იქნებოდა მსოფლიოსთვის დასუსტებული რუსეთის იმპერია. კლინტონი მიხვდა, რომ სოციალიზმის დროს ჩამოყალიბებული რუსეთის ელიტა ვერ შეაფასებდა ამერიკული წარმოშობის ეკონომიკურ-თეორიულ რჩევებს. კლინტონის აზრით, არც ამერიკელთა მხრიდან იყო მოსალოდნელი საჭირო ტაქტი, ამიტომაც სთხოვა მან შრიოდერს გაეათკეცებინა რუსეთთან ურთიერთობები. მისი აზრით, რუსეთი გერმანიიდან გაცილებით ადვილად მიიღებდა თუნდაც მატერიალურ დახმარებას. შრიოდერი წერს, რომ კონტინენტზე სტაბილურობის მიღწევა წარმოუდგენელია რუსეთთან სრულმასშტაბიანი ურთიერთობის მიღწევის გარეშე. შრიოდერის აზრით, დასავლეთმა უნდა გადალახოს გავრცელებული აზრი, რომ რუსეთი არის დათვი, რომელიც მზადაა ვიღაცის შესასანსლად. შრიოდერი გაგებით ეკიდება რუსეთში მიმდინარე პროცესებს. ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა საჭიროებს ხანგრძლივ ძიებას. ხალხი არ შეიძლება უცბად გარდაიქმნას. ამისთვის დრო და მოთმინებაა საჭირო.

შრიოდერის სიტყვები იმიტომ მოვიყვანე, რომ რუსეთის მიმართ დამოკიდებულება როგორც გერმანიაში, ისე სხვა ქვეყნებში, არ არის ისეთი, როგორიც ჩვენ გვგონია. მიუხედავად იმისა, რომ შრიოდერი აღარ არის აქტიური პოლიტიკოსი, ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც კონრად ადენაუერის დროს ჩაისახა და წარმატებით გაგრძელდა კანცლერ ვილი ბრანდტის დროს, დღესაც მიმდინარეობს. ქვეყნის სათავეში პოლიტიკურ პარტიათა ცვლა არ იწვევს საგარეო კურსის რყევას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არც ანგელა მერკელის გერმანია და მით უმეტეს მისი თავმჯდომარეობით ევროკავშირი, საქართველოს გამო არ დაუპირისპირდება რუსეთს.



**დროა მიმოვიხედოთ ირგვლივ, კრიტიკულად შევავლოთ თვალი ჩვენსა და უცხოეთს შორის არსებულ დადებით და უარყოფით მომენტებს და თავშესაფრის ძებნის ნაცვლად, საკუთარ თავზე დაყრდნობით, შევქმნათ ქვეყნისათვის საჭირო პოლიტიკა.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

№ 4. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2007 წელი.

# ბურჯი ეროვნებისა

**იაკობ გოგებაშვილთან ანბანის შესასწავლ პირველ გაკვეთილზე ორი ასოს (ი,ა) ერთად სწავლება გამოწვეული იყო იმ აუცილებლობით, რომ დიდ პედაგოგს შეექმნა უმარტივესი და უგენიალურესი წინადადება — აი ია. სხვა შემთხვევაში კი იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო არათუ ოთხი, არამედ ორი ასოს ერთად (ერთ გაკვეთილზე) სწავლებისა.**




## სწავლა მოსწავლეთა და... მასწავლებელთა

# ხუთი „დედაენის“ ხიბლი და საწუხარი

**ახლა მოკლედ ხუთივე „დედაენის“ შესახებ:**

*   *   *

**I. გამომცემლობა „აისის“ „დედაენის“** სატიტულო გვერდზე მითითებულია, რომ იგი შეადგინა ვალერიან რამიშვილმა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რადგან გვამცნობს, რომ ეს სახელმძღვანელო ერთგულად მისდევს დიდი იაკობის საფუძველჩაყრილ და გაკვალულ გზას, ეყრდნობა მის პოპულარულ, საყოველთაოდ აღიარებულ და მოწონებულ მეთოდიკას, რომელმაც 130 წლის განმავლობაში ერთპიროვნულად გაუწია ფასდაუდებელი სამსახური ქართველ ბავშვთა უამრავ თაობას.

აღნიშნული წამძღვარება იმითაც არის საინტერესო, რომ ხუთი ახალი „დედაენიდან“ მხოლოდ ორის ავტორ-შემდგენლებმა აირჩიეს გოგებაშვილისეული მეთოდიკა.

„აისმა“ წიგნის მომდევნო გვერდზე აგრეთვე მოგვაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სახელმძღვანელო შეავსეს და გადაამუშავეს **თამარ დოლონაძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა** და **აკა მორჩილაძემ.** ესეც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, ვინაიდან სწორედ მათ უნდა გაეახალგაზრდავებინათ მხცოვანი „დედაენა“ და მისთვის მიეცათ დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი სახე. მათ უნდა დაემტკიცებინათ, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ კი არ უნდა გაუქმდეს და გვერდზე გადაიდოს (როგორც ზოგიერთებს მიაჩნიათ), არამედ განახლდეს, შეივსოს, გამრავალფეროვნდეს და შეიძინოს თანამედროვე ჟღერადობა. როგორ შესრულდა ეს ურთულესი წინასწარდასახულობა „აისის“ შემთხვევაში? ჩემი აზრით, კარგად! განახლებული „დედაენის“ შემვსებელ-გადამმუშავებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ძალისხმევით შეიქმნა საინტერესო ნაჯვარი ძველისა და ახლისა, რომელიც უთუოდ ღირსია წარმატებისა. აქვე მახსენდება აკაკი წერეთლის ცნობილი სტრიქონები: „წარსულ-ნერგზედ ახალ-ნამყნის ველოდებით შეხორცებას!“ დიახ, ველოდებოდით აზრიან შეხორცებას და სასიამოვნოა, რომ ეს ნამყენი საკმაოდ ეფექტური და, მეთოდიკის თვალსაზრისით, ვფიქრობ, სანიმუშო გამოდგა.

„აისის“ „დედაენა“ შედგება სამი ნაწილისგან: წინასაანბანო, საანბანო, ანბანის შემდეგ საკითხავი.

პირველი ნაწილის თემები მრავალფეროვანია და ემსახურება ზეპირმეტყველების განვითარებას. აქვე ხდება იაკობ გოგებაშვილისეული წერის ბადის პირველი გაცნობა.

მეორე ნაწილში ანბანის შესწავლა ტრადიციულად იწყება ასო **ი**-თი და კითხვა-წერა ერთობლივად (პარალელურად) მიმდინარეობს. გარდა პირველი გაკვეთილისა (ი, ა), თითოეული ასო ისწავლება ცალ-ცალკე ორ-ორი გაკვეთილის განმავლობაში. წერის ბადეში წითელი წერტილებით მითითებულია საიდან იწყება ასოს დაწერა და შემდეგ კონტურის სახით ნაჩვენებია რა თანმიმდევრობით უნდა მოხდეს ასოს სრული სახის შექმნა. ასოთა სწავლებისას და წერისას გათვალისწინებულია მათი მსგავსება მოხაზულობის მიხედვით (ძმშ; კვგფ; დღლ; ყჟ; ქჭ...), რაც საგრძნობლად აადვილებს წერას.

სახელმძღვანელოში ბევრია შემეცნებითი, გასართობი, ამოსახსნელი, გამოსაცნობი, უნარ-ჩვევების განმავითარებელი ამოცანები და დავალებები. ზომიერადაა წარმოდგენილი კროსვორდები, რებუსები, ლაბირინთები, გონებრივი სავარჯიშოები, ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხი...

სათანადო მაგალითების მეშვეობით სახელმძღვანელო საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეისწავლოს ხმოვანი და თანხმოვანი ასოები, მარცვალი, ახსნას აქამდე უცნობი სიტყვები შეკითხვების დახმარებით, საგანგებო სავარჯიშოებით გაიმდიდროს ლექსიკა, აზრობრივად გამართოს წინადადება გამოტოვებული სიტყვის შემთხვევაში და სხვა.

ამრიგად, ანბანისშემდგომი პერიოდი ამთლიანებს ყველა ძირითად მიმართულებას. ამ ეტაპზე მოსწავლემ უნდა შეძლოს ილუსტრაციის დაკავშირება წაკითხულ ტექსტთან. თავად შექმნას ტექსტის ან მისი ცალკეული ეპიზოდის შესატყვისი ილუსტრაციები. შეაფასოს წაკითხული მასალა, პერსონაჟი და მისი საქციელი, გაიხსენოს წაკითხულის მსგავსი ამბავი. წერილობით შეძლოს საკუთარი ან სხვისი ნააზრევის გადმოცემა მარტივი წინადადებებით. ყოველივე ამაში მოსწავლეს აქტიურად ეხმარება სახელმძღვანელოში გამოყენებული ყველა საშუალება.



წიგნს დართული აქვს მცირე ლექსიკონი, რომლის გაფართოება სასურველად მიმაჩნია.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია როგორც კლასიკოსი, ასევე თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებები, ოღონდ უმეტესი ადგილი სამართლიანად აქვთ მიკუთვნებული იაკობ გოგებაშვილისა და ხალხურ ნაწარმოებებს.

როგორც ცნობილია, აქამდე „დედაენაში“ (რელიგიური მოსაზრებების გამო) გადაკეთებული სახით იბეჭდებოდა ი. გოგებაშვილის საინტერესო მოთხრობა „დაკარგული ბავშვი“. ამჟამად იგი პირველად იბეჭდება სახელმძღვანელოში იაკობისეული დედნის აღდგენითა და შესაბამისი ილუსტრაციით.

„აისის“ „დედაენაში“ ღირსეულადაა წარმოდგენილი მცირე ზომის მხატვრული ნაწარმოებები გამოჩენილ ქართველ მწერალთა, მეფეთა და წმინდანთა შესახებ, რაც ნორჩებს უთუოდ გაუღვივებს პატრიოტულ გრძნობებს.

მხატვრულ ნაწარმოებთაგან არ მომწონს ხალხური ლექსი „შენ, ჩემო ღორო, ქედაო“. ჩემი აზრით, იგი არ გამოირჩევა არც მხატვრული და არც აღმზრდელობითი თვალსაზრისით. როდის ყოფილა, რომ ღორს ქეჩოზე მოჯდომოდა ადამიანი? განა ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულში არ შეიძლებოდა ისეთი ლექსის არჩევა, რომელიც უკეთ მიესადაგებოდა პირველკლასელის ცნობიერებას.

საყვედური უნდა გამოვთქვა „მასწავლებლის წიგნის“ მიმართ, მხოლოდ და მხოლოდ მხატვრულ-პოლიგრაფიული გაფორმების გამო.

აღფრთოვანებული ვარ მხატვარ **ოთარ მეგრელიძის** ნამუშევრებით. მისმა საჩინო ფერწერამ ჭეშმარიტად შეამკო ახალი „დედაენა“. იგი ბრწყინვალე ანიმალისტია, თუმცა უბადლოდ ხატავს როგორც ცხოველებს, ასევე ფრინველებსა და მცენარეებს. ოთარის იის მსგავსი ია ჯერ არ გაფოთლილა „დედაენაში“. საბავშვო წიგნებში, განსაკუთრებით „დედაენაში“, ყოველთვის აუცილებლად მიმაჩნდა რეალისტური, კლასიკური ნახატის გამოყენება-დანერგვა. ბევრიც მიბრძოლია ამ მხრივ გამომცემლობა „განათლებაში“ მუშაობისას, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ ვეღირსე. მხატვარ ოთარ მეგრელიძის ილუსტრირებული „დედაენა“, ჩემი ღრმა რწმენით, მაგალითია საუკეთესო შესრულებისა.

მოსაწონია ისიც, რომ „აისის“ ახალი „დედაენა“ დაბეჭდილია მსუბუქად ტონირებულ ქაღალდზე, ლამაზადაა გაფორმებული დიზაინის თვალსაზრისით და მაღალი დონის ტექრედაქციით.

სანიმუშოდ მიმაჩნია „მოსწავლის სამუშაო რვეულიც“, რომელიც ორიგინალობით გამოირჩევა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „აისის“ „დედაენა“ მთლიანად ორიენტირებულია მოსწავლეზე და შედგენილია სწავლების შესატყვისი მოთხოვნების შესაბამისად. იგი იძლევა ზეპირი მეტყველების, მოსმენის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებას, ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლე მუდამ აქტიური იყოს გაკვეთილზე.

*   *   *

**II. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ „დედაენასა“** და მის ავტორ-შემდგენლებს აქვთ პრეტენზია, რომ მათი შექმნილი სახელმძღვანელო სრულიად ორიგინალურია. არ ვიცი, რამდენად სამართლიანია ასეთი თავდაჯერებულობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს „დედაენა“ ნამდვილად იქცევს ყურადღებას სიახლეებითა და უცნაურობებითაც.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ აქტიურად მონაწილეობს ახალ სასკოლო სახელმძღვანელოთა შექმნაში და წელს „დედაენასთან“ ერთად მან პირველკლასელებს გამოუცა კიდევ ორი წიგნი — „მათემატიკა“ და „ბუნება“.

თვითშეფასება კი ასეთია „დედაენის“ გარეკანის მეოთხე გვერდზე: სახელმძღვანელო „შექმნილია ახალი ეროვნული გეგმის მიხედვით; წარმატებით **აპრობირებულია** საქართველოს სკოლებში; საუკეთესოდ შერწყმულია ეროვნული ტრადიციები და უახლესი სამეცნიერო მიღწევები; სამივე სახელმძღვანელო **ინტეგრირებულია** საერთო **კონცეფციის** საფუძველზე, ამიტომ მათი **გამოყენება ერთმანეთის პარალელურად** კიდევ უფრო დიდ **ეფექტს** იძლევა“. მართალია, პირველკლასელი ბევრს ვერაფერს გაუგებს სიტყვებს: **აპრობაცია, ინტეგრირებულია, კონცეფცია, ეფექტი; ასევე ძნელი იქნება იმის გაგებაც, როგორ გამოიყენება აღნიშნული სახელმძღვანელოები ერთმანეთის პარალელურად და როგორ იძლევა ასეთი გამოყენება დიდ ეფექტს,** მაგრამ გამომცემლობა არ ერიდება რეკლამას წიგნის გარეკანზეც.

წერილის შესავალ ნაწილში გამოთქმული შენიშვნები, ცხადია, ამ „დედაენასაც“ ეხება და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ.

აღნიშნული „დედაენაც“ შედგება 3 ნაწილისაგან: წინასაანბანო, საანბანო და ანბანისშემდგომი.

პირველი პერიოდი მხოლოდ 3 კვირას გრძელდება. წიგნის მე-4 გვერდიდან კი უკვე სისტემატურად ისწავლება ასოები. წინასაანბანო პერიოდში გამოყენებულია ანალიზური მეთოდი, ხოლო საანბანოში — ანალიზურ-სინთეზური.

წინასწარ მინდა განვაცხადო, რომ არ ვედავები ამ და სხვა „დედაენათა“ შემქმნელებს თავიანთ, ჩემი აზრით, უმართებულო დასკვნებთან დაკავშირებით. ამას ჩემზე უკეთ გააკეთებენ ის მეცნიერები და პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებსაც, როგორც იტყვიან, ჭიპი აქვთ მოჭრილი პედაგოგიკაში. მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რაც თავად არ მიმაჩნია მართებულად ან სხვა თვალით ვხედავ.

თავიდანვე ვიტყვი, რომ „მასწავლებლის წიგნში“ მოთავსებული ავტორთა განმარტებითი წერილი სერიოზული მეცნიერული ნაშრომია და შეიძლება ბევრ რამეში დაეთანხმო მათ ავტორებს, მაგრამ მაინც გიჩნდება დავის სურვილი. მაგალითად, მე-11 გვერდზე ავტორები კატეგორიულად აცხადებენ, რომ მოსწავლეს თავიდანვე ცალკე ასოები ან მარცვლები არ უნდა მივაწოდოთ, რადგან ცალკე ასო არაფერს ნიშნავს (ალბათ მარცვალიც. — **გ.ბ.**) მას მხოლოდ მაშინ უჩნდება ფუნქცია, როცა რაიმე სიტყვის ნაწილად იქცევაო.

კი, ბატონო, მაგრამ ეს ნაწილი ცალკე რომ არ არსებობდეს, სიტყვა შედგება? მით უმეტეს მაშინ, თუ ასოები შინაარსის გადმოცემის ერთ-ერთი საშუალებაა! მიმაჩნია, რომ 6 წლის ბავშვი ასოებისა და მარცვლების დახმარებით უკეთ აითვისებს სიტყვას.

განსახილველ „დედაენაში“ საანბანო პერიოდი გათვლილია 11 სასწავლო კვირაზე, ყოველ ხუთ სამუშაო დღეში შეისწავლება 3-3 ასო, მაგრამ სწავლების პირველ კვირას, პირველსავე გაკვეთილზე ერთბაშად ხდება ოთხი ასოს (ა, ი, მ, ს) შესწავლა. პირველი წინადადებაა შეუცვლელი **აი ია**, მაგრამ პირველ ასოდ ისწავლება **ა** და არა **ი**.

ამ „დედაენის“ ავტორ-შემდგენლები ხშირად იყენებენ დიდი იაკობის გამონათქვამებს, როცა მათი აზრები ასე თუ ისე ემთხვევა ი. გოგებაშვილისას, მაგრამ როცა თანხვედრა არ არის, გაურბიან. ან კიდევ უარესი — ციტირების საწინააღმდეგოდ იქცევიან. ავტორ-შემდგენლები ცდილობენ დაგვარწმუნონ, ოთხი ახალი ასოს ათვისება თვისობრივად არ განსხვავდება ორი ახალი ასოს (**ა, ი**) ათვისებისგან. რატომ, ორჯერ ორი ოთხი აღარ არის? და ამატებენ: „სამაგიეროდ, 4 ასოს შემოტანა იძლევა შესანიშნავ საშუალებას არა მხოლოდ შევინარჩუნოთ გოგებაშვილისეული „აი ია“ (?!), არამედ განვავითაროთ (?!) იგი და პირველსავე გაკვეთილზე, წიგნის პირველივე გვერდებიდან შემოვიტანოთ რამდენიმე წინადადება და ახალი სიტყვა („აი ია“, „აი მაია“, „აი მაიას მამა“, „ის მაიას მამაა“ და ა.შ.).

იაკობ გოგებაშვილთან ანბანის შესასწავლ პირველ გაკვეთილზე ორი ასოს (**ი, ა**) ერთად სწავლება გამოწვეული იყო იმ აუცილებლობით, რომ დიდ პედაგოგს შეექმნა უმარტივესი და უგენიალურესი წინადადება — **აი ია.** სხვა შემთხვევაში კი იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო არათუ ოთხი, არამედ ორი ასოს ერთად (ერთ გაკვეთილზე) სწავლებისა.

იაკობი სასტიკად აკრიტიკებდა მათ, ვინც „ხუთ-ექვს ასოს ერთად აჩეჩებს ბავშვებს საწერად“ („რჩეული თხზულებანი“ ხუთ ტომად, ტ. IV, გვ.216) და იწონებდა თითო ასოს გაცნობას.

**გივი ბოჯგუა**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 3.

# დღეს, გუშინ

● გაბრაზებულმა სტალინმა ლავრენტი ბერიას ფოტოსურათის მიტანისათვის უსაყვედურა და კაბინეტიდან გაუშვა



◎ შოუბ „აფხაზურად“

# მგლის თავზე სახარების კითხვა

## ილორის ტაძარში ქართველი მლოცველები სცემეს

*1973 წელია. გუდაუთასთან მდებარე სტუდენტური ბანაკიდან თბილისში ვბრუნდებით. მატარებლის მოლოდინში ჯგუფად ჩამომსხდარნი ვლაზღანდარობთ. ორი ჩვენგანი კი ბაქანზე დასეირნობს. უცებ, იქვე, „ტოშნილოვკიდან“ გამობანცალებული ორი ტიპი მათ მიუახლოვდა და რაღაც უთხრა. ერთ-ერთმა ჩვენიანმა მკერდში უბიძგა. ეგ იყო და იმავე „ტოშნილოვკიდან“ – სად ეტეოდნენ იმ ცუცქნაში – 30-მდე კაცი გამოვარდა და მოგვესია. ერთი გაწევ-გამოწევა, გინება, გნიასია. იმ ორი მეგობრის გარდა, არავინ ვუწყით, რა მოხდა. კიდევ კარგი, მატარებელი ჩამოდგა, მერე ვიღაც ქალი აკივლდა, მილიცია, მილიციაო და მოძალადეებმა მოცოცხეს.*

თურმე, იმ ორ აფხაზს უთქვამს ჩვენი მეგობრებისთვის, აქ რას იყეფებით თქვენს ძაღლურ ენაზე, წაეთრიეთ თქვენს ქვეყანაში და იქ იყეფეთო...

უცნაური ჯვარი დაგვაკისრა აზრთაგამრიგემ – ჩვენივე სიკეთე, გულუხვობა, შემწყნარებლობა ავად გვიბრუნდება. ალბათ, ეს გადაჭარბებული, ბედოვლათური „მობრძანდი, დაბრძანდი, ინებეს“ ბრალიცაა. უფალი გვასწავლის: „ნუ განუბნევთ ღორებს მარგალიტებს“. ვუსმინეთ?! არ ვუსმინეთ და, აგერ, ჩვენსავე ქვეყანაში ხომ აღარ გვაყენებენ, გვერეკებიან, გვხოცავენ, ვისაც არ ეზარება, ყველა იჩემებს წინაპართა სისხლით გაპოხილ ალალ ქართულ მიწა-წყალს. თან სულ უარესი და უარესი. ამას წინათ არ იყო, წალკაში მოსალოცად ჩაბრძანებულ პატრიარქსა და მლოცველებს იქაურები რომ მიესივნენ?

შობის ღამეს სოხუმელი ქართველები ოჩამჩირის რაიონში მდებარე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მივიდნენ საზეიმო ღვთისმსახურებაზე დასასწრებად.

აბა, სადგურის ბაქანი რაღა გასახსენებელია (თუმცა, იმხანად რომ „წაგვეჭირა ყრონტში“ ხელი ვისთვისაც ჯერ არს, ეგებ, ახლა სხვაგვარად ყოფილიყო საქმექ, ქართულ მიწაზე, ქართულ ტაძარში, ქართველების ქართულად ლოცვამ გააცოფა აფხაზები და დუქმორეულებმა ჯერ ტაძრიდან გამოყარეს ჩვენი სისხლისმიერნი, მერე კი ისე მხეცურად სცემეს, რომ ერთ-ერთი მლოცველი რობერტ კუხალაშვილი სხეულის მძიმე დაზიანებებით ოჩამჩირის საავადმყოფოში წევს.

იგულისხმება, რომ თავდამსხმელნიც ტაძარში იყვნენ. სხვაგვარად ვერ გაიგონებდნენ ქართველების ქართულად ლოცვას. ისიც იგულისხმება, წირვა-ლოცვა რუსულად რომ მიმდინარეობდა.

არ ვიცი, მღვდელი ადგილობრივი იყო, თუ რუსეთის საპატრიარქოდან მივლინებული, ოღონდ, სავარაუდოა, აფხაზები ქართული ეკლესიის წარმომადგენელს, თუნდაც რუსს, არ გააჭაჭანებდნენ.

რამდენჯერ სთხოვა, ოფიციალურადაც მიმართა (მოსკოვშიც ჩაბრძანდაძ ჩვენმა პატრიარქმა რუსეთის საპატრიარქოს, ნუ ინებებთ საქართველოს ეკლესიის საქმეებში ასე უხეშად ჩარევას, საერთაშორისო საეკლესიო ეთიკის, წესების დარღვევას, ნუ მიავლენთ თქვენს ღვთისმსახურთ ჩვენს სამწყსოში, მაგრამ გაგიგონიათ? როგორც რუსი პოლიტიკოსები მიიჩნევენ თავის ვოტჩინად საქართველოს, ასევე რუსეთის ეკლესიაც ვერა და ვერ ელევა ეგზარხოსობის ხანას. ძალიან უნდათ დაივიწყონ, რომ მათზე 10 საუკუნით ადრე ვიწამეთ ქრისტეს რჯული და პირველი სიწმინდეებიც, რაკი თავად არაფერი გააჩნდა, რუსეთის ეკლესიას სწორედ ქართულმა უბოძა.

ისიც ხომ ცხადია, ის მხეცქმნილი აფხაზები თავადაც მლოცველები რომ იყვნენ. ჰოდა, წარმოდგენაც მიჭირს, რარიგ ვძულვართ ჩვენს მიწა-წყალზე აგრერიგად დალხინებულ აფსუებს, რომ შობის წმინდა ღამეს, თავადაც მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა, წმინდა ტაძარი ძალადობით შებილწეს.

ზემოთქმულის ფონზე ლამის ცინიკურად ჟღერს რუსეთის საქველმოქმედო ფონდ „პერესვეტის“, რუსეთის სხვადასხვა ორგანიზაციის, მათს შორის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა სამმართველოსა და სახელმწიფო დუმის საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმეთა კომიტეტის მხარდამჭერით წმინდა სახარების თარგმნა აფხაზურად, ხოლო გაგრელი ბავშვებისათვის – სასულიერო-ზნეობრივი ლიტერატურის დარიგება. ამ აქციას „რწმენის გზით – მშვიდობისა და თანხმობისაკენ“ უწოდეს და 11-დან – 15 იანვრამდე აპირებენ მის გაჭიმვას.

ვეჭვობ, ამ 4-მა დღემ უშველოს აფხაზთა დამაჯერლაჯუნებელ ფსიქიკას, ან მშობლიურ ენაზე სახარების წაკითხვა-მოსმენამ აღარ აღამართინოს ხელი გვერდზე ქართულად მლოცველზე. ვითომ რუსულად ნაწერ სახარებაში იგივე არა სწერია, რაც – აფხაზურში?

ამიტომ, ჯერხანობით მაინც, ზემოთქმული მგლის თავზე სახარების კითხვად მიმაჩნია.

**კონსტანტინე გურგენიძე**

◎ ინფორმაცია

## აჭარის ბიუჯეტი 98 პროცენტით შესრულდა

**2006 წლის აჭარის რესპუბლიკის ბიუჯეტის პარამეტრები სრულად ვერ შესრულდა და ის 2 პროცენტით „გაირღვა“.**

**როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ზურა ლომიძემ აცნობა, აჭარის ბიუჯეტი მხოლოდ 98 პროცენტით შესრულდა.**

**ლომიძის განმარტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში გეგმის მიხედვით 54. 510 ათასი ლარი უნდა შესულიყო, თუმცა, საბოლოო ჯამში, 53.422 ათასი ლარის მობილიზება მოხერხდა.**

## „აჭართევზი“ უახლოეს დღეებში გაიყიდება

**უახლოეს მომავალში აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის დეპარტამენტი გასაყიდად „აჭართევზს“ გამოიტანს.**

**როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის დეპარტამენტის უფროსმა აბესალომ გურგენიძემ განუცხადა, „აჭართევზი“ გასაყიდად მართვის უფლების გადაცემით გამოვა.**

**მისივე ინფორმაციით, „აჭართევზის“ საწყისი ღირებულება ერთი მილიონი დოლარი იქნება.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ გამოხმაურება

# სტალინი მამის ფოტოსურათის ნახვისას განრისხდა





**„საქართველოს რესპუბლიკაში“ ამას წინათ დაიბეჭდა ისტორიკოს ვახტანგ გურულის სტატია „იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი“. ვიდრე ჩემს მთავარ სათქმელს ვიტყვი, მსურს ერთი შენიშვნა გავაკეთო ამ სტატიასთან დაკავშირებით.**

ავტორი მსჯელობს იოსებ სტალინის დაბადების თარიღის შესახებ და ამტკიცებს, რომ სტალინი დაიბადა ქალაქ გორში 1878 წლის 6 დეკემბერს და არა 1879 წლის 21 დეკემბერს. ვფიქრობ, ავტორის გარდა ამ შემთხვევაში ახალს ვერაფერს შესძენს იოსებ სტალინის ავტობიოგრაფიას. თვითონ იოსებ სტალინი თავის დაბადების დღედ 1879 წლის 21 დეკემბერს რომ მიიჩნევდა, ეს კარგად ჩანს მისი 60 და 70 წლისთავის იუბილეებთან დაკავშირებით. ჩვენ თაობას კარგად ახსოვს თუ რა ფართო მასშტაბით აღნიშნეს იოსებ სტალინის 70 წლისთავი, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მრავალ ქვეყანაში. მაშინ ხომ იოსებ სტალინის რენომე მეტისმეტად დიდი იყო მთელ მსოფლიოში და აფასებდნენ მას როგორც ფაშიზმზე გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს. ე. ი. იოსებ სტალინი თავის დაბადების თარიღად ოფიციალურად 1879 წლის 21 დეკემბერს აღიარებდა და ასე უნდა დარჩეს ის ისტორიაში.

ახლა, რაც შეეხება იოსებ სტალინის მამის ბესარიონ ჯუღაშვილის ამბავს.

როგორც ვახტანგ გურული წერს, გორელ ბესარიონ ჯუღაშვილს პრაქტიკულად ოჯახი მიტოვებული ჰყავდა. მას თურმე, შვილის იოსების სასწავლებელში შეყვანა არამც და არამც არ სურდა. ფაქტობრივად მამისგან მიტოვებულ ოჯახს ეკონომიკურად ძალიან უჭირდა. მიუხედავად ამისა დედამ ეკატერინე გელაძემ შვილი სასწავლებლად 1888 წელს ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა, ექვსი წლის შემდეგ კი – თბილისის სასულიერო სემინარიაში.

იოსებ სტალინს დედის დიდი სიყვარული ბოლომდე შერჩა, მამის მიმართ კი ერთობ ანტიპათიურად იყო განწყობილი და, შეიძლება ითქვას, არც სცნობდა მის მამობას. 1967 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ახალ გამოფენას ვამზადებდით. მაშინ ხელთ ჩამივარდა ერთი გორელი ამქრის კარგად შემონახული ძველი ფოტოსურათი. უკანა მხარეს ჰქონდა წარწერა: „ფოტოზე მეორე რიგში სტალინის მამა ბესარიონ ჯუღაშვილი დგას, მელნით ჯვარი აქვს დასმული“. დაკვირვებული თვალი კარგად შეამჩნევდა მამისა და შვილის აშკარა მსგავსებას.

გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით, ზოგიერთი საკითხის გასარკვევად ისტორიკოს აბელ კიკვიძეს შინ ვესტუმრე და ეს ფოტოსურათიც ვნახე (აბელ კიკვიძე ცნობილი პოეტის ტიციან ტაბიძის სიძე, დის – სოფიო ტაბიძის მეუღლე იყოძ. ფოტოსურათის ნახვამ აბელი ძალიან გააღიზიანა და წონასწორობა დააკარგვინა. აღელვებული მეუღლე ქალბატონმა სოფიომ დააწყნარა. ცოტა ხნის შემდეგ ბატონმა აბელმა ასეთი რამ მიამბო: 1937 წელია, „იმელში“ ვმუშაობ. ჩვენი დირექტორი ძლიერი პიროვნება პეტრე შარია იყო. ერთხელ „იმელის“ ფოტოკაბინეტის თანამშრომელმა ძაგნიძემ ფოტოსურათი მანახა და მითხრა, ამ ფოტოზე სტალინის მამა ბესარიონ ჯუღაშვილიაო. დააკვირდით



რა დიდი მსგავსებაა მამასა და შვილს შორისო. მეორე დღეს გამრავლებული ფოტოსურათები და დედანი პეტრე შარიას კაბინეტში შევუტანე. ის მეტად კმაყოფილი დარჩა და მითხრა: მოსკოვში რომ წავალ, ამ სურათს აუცილებლად სტალინს მივაწვდიო. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ პეტრე შარიას მივლინებით მოუხდა მოსკოვში ჩასვლა. მან სურათი ლავრენტი ბერიას მიუტანა ბინაში. გახარებულმა მასპინძელმა სტუმარი მეორე სალამოსთვის დაიბარა. მაშინ ვინ რა იცოდა, რა მოხდებოდა და ვის რა ელოდა. მეორე დღეს ლავრენტი ბერია კრემლში სტალინთან მივიდა და ფოტოსურათიც მიუტანა. როგორც შემდეგ თვითონ ლავრენტი ბერია პეტრე შარიას ეტყვის, ასეთი განრისხებული სტალინი მას არასდროს უნახავს. თან საკვირველი ის იყო, რომ ყოველივე ეს საკუთარი მამის ფოტოსურათის ნახვამ გამოიწვია. გაბრაზებულმა სტალინმა ლავრენტი ბერიას ფოტოსურათის მიტანისათვის უსაყვედურა და კაბინეტიდან გაუშვა. მადლობის მომლოდინე ლავრენტი ბერიამ საყვედური მიიღო და ძალიან განაწყენებული შინ დაბრუნდა. რა თქმა უნდა, საყვედური და ბევრი მწარე სიტყვაც ლავრენტი ბერიასგან პეტრე შარიასაც შეხვდა. მომავალში რა მოხდებოდა, არავინ უწყოდაო.

ამ დროს მთავრობას ტიციან ტაბიძე ახალი დაპატიმრებული ჰყავდა. მთელი მისი სანათესაო თურმე შიშმა მოიცვა. აბელ კიკვიძემ თქვა, იმ ფოტოსურათთან დაკავშირებით მე პეტრე შარიასგან სიტყვიერი შენიშვნა კი მივიღე, მაგრამ სხვა რაიმე ზემოქმედება არ ყოფილაო. დღე-დღეზე დაპატიმრებას ველოდი, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემი შიში არ გამართლდა, პეტრე შარიამ კაცობა გამოიჩინა და არ გამწირაო.

დაბოლოს ბატონმა აბელ კიკვიძემ ასე მითხრა: ახლა მაინც ხომ მიხვდი, რატომ ვარ ამ ფოტოსურათის მიმართ ასე ანტიპათიურად, აგრესიულად განწყობილიო. მივხვდი და ვუთანაგრძე კიდეც. მართლაც საშინელი რამ იყო 1937 წელი.

**დურმიშხან ცინცაძე**

• უმართაობამდე მისული კრიმინოგენური ვითარება, მაღალჩინოსანთა შემყურე და მათგან წათამამებული დაბალი რანგის პოლიციელების თავხედობა, დაუსჯელობის სინდრომს ბადებს, რაც საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს



◎ კრიმინალი

# როდესაც პოლიცია უმოქმედოა

**პოლიციელთა მხრიდან მომხდარ მძიმე დანაშაულზე განზრახ თვალის დახუჭვა, შეგნებული თუ არაპროფესიონალიზმით გამოწვეული უმოქმედობა, მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. ამის შედეგია ის, რომ დაზარალებული მხარე თვითონ იწყებს სამართლის ძებნას. უმეტეს შემთხვევაში ეს არაკანონიერი გზებით ხდება და არცთუ იშვიათად ტრაგიკულად სრულდება.**

ორი წლის წინათ გოგონას გამო ატეხილ ჩხუბს, ახალგაზრდის, ბესიკ ამირანაშვილის სიცოცხლე შეეწირა. ვახტანგ არველაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. ეჭვმიტანილის ოჯახის წევრთა განცხადებით, იგი რუსეთში იყო წასული. მასზე ძებნა გამოცხადდა. თუმცა მისი ადგილსამყოფელის დასადგენად ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. არსებობდა ინფორმაცია, რომ არველაძე თბილისში, ერთ-ერთ ნათესავთან იმალებოდა. ამის შესახებ გარდაცვლილის ძმამ, ვაჟა ამირანაშვილმა შეიტყო. იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში ეძებდა ძმის მკვლელს, რათა მასზე შური ეძია.

გამოძიებისათვის უცნობია, თუ რა არხებით მოახერხა ვაჟა ამირანაშვილმა არველაძის მოძებნა. დათქმულ ადგილზე შესახვედრად მისულ ამირანაშვილს თან ჰქონდა მამის ნაქონი სამხედრო ნაწილის მეთაურის ნაჩუქარი „ნაგანი“ (მამა აფხაზეთის ომში დაიღუპა). არველაძე მას მანქანაში უცდიდა. არველაძესთან მიახლოებისას ამირანაშვილმა დამიზნებით ესროლა. მან მხოლოდ ერთი გასროლა მოასწრო. თანმხლებმა პირებმა ჯერ იარაღზე აუკრეს ხელი, შემდეგ კი საერთოდ წაართვეს. მძიმედ დაჭრილი არველაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ახლობლები ყოველმხრივ ცდილობდნენ დაჭრილის ვინაობის დამალვას, რადგანაც იგი ძებნილად ითვლებოდა. სამართალდამცველებს საქმე გაუიოლა ვაჟა ამირანაშვილმა. იგი ნივთმტკიცებულებითურთ თავად გამოცხადდა პოლიციაში. მან ჩვენებაში დაწერა, რომ მკვლელობის მცდელობა შურისძიების მიზნით ჩაიდინა. არველაძეზე ანგარიშსწორებას ის დიდი ხანია აპირებდა და თავის დროზე ამის შესახებ პოლიციასაც განუცხადა.




პოლიციელთა დანაშაულებრივ ქმედებათა თუ უმოქმედობათა გამო მოხდა პოლიციის ქვეგანყოფილებებზე აღშფოთებული მასის თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა. ისინი ცდილობდნენ გაეტაცებინათ ეჭვმიტანილი და თავად გასწორებოდნენ მას. ხალხს მიაჩნდა, რომ სამართალდამცველებს გამოძიება ტენდენციურად მიჰყავდათ.

ტაბახმელელი ბესიკ იაშაღაშვილი იქვე მცხოვრებ ნინო ქოქიაშვილის ეზოში გარდაცვლილი იპოვეს. ადგილობრივები ამტკიცებდნენ, რომ მკვლელი ნოდარ აბულაშვილია, რომელიც ეჭვიანობდა იაშაღაშვილისა და ქოქიაშვილის კავშირზე. აბულაშვილი დასაკითხად ტაბახმელის პოლიციაში მიიყვანეს. „ვერდიქტს“ შენობასთან შეკრებილი 60-მდე კაცი ელოდა.

შეკრებილებში მოულოდნელმა ხმა გავრცელდა – აბულაშვილს ამართლებენ და სახლშიც გაუშვებენო. აღშფოთებულმა მასამ იქვე შეაგროვა ქვები, ჯოხები. ხალხი პოლიციას აღარ მოერიდა და ძალის გამოყენებით შენობაში შეაღწია. ბრბომ, მათი აზრით, მკვლელი გარეთ გამოათრია და ქვეგანყოფილების ეზოშივე ჩაქოლა. დაკითხვაზე მიყვანილის გადარჩენა პოლიციელებმა სცადეს, მაგრამ გამძვინვარებულმა მასამ მათზეც გაიწია.

მასობრივი არეულობის დამთავრების შემდეგ პოლიციამ ამ ინციდენტის 4 მონაწილე დააკავა. სამმა პოლიციელმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. საბოლოოდ კი შსს-ს მაღალჩინოსნებმა ყველაფერში დამნაშავედ 2 რიგითი ჩათვალეს, მათ მხოლოდ სამსახურიდან განთავისუფლება აკმარეს.

**უმართაობამდე მისული კრიმინოგენური ვითარება, მაღალჩინოსანთა შემყურე და მათგან წათამამებული დაბალი რანგის პოლიციელების თავხედობა, დაუსჯელობის სინდრომს ბადებს, რაც საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ხალხი უკანონობასთან დაპირისპირებას, უკანონობითვე ცდილობს.**

**ზაზა ბილიხოძე**

◎ ინფორმაცია

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი „ნომერ პირველ მოვლენად“ შეფასდა

**დასავლეთის მედიის საშუალებები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა-რეალიზაციას მსოფლიო ენერგეტიკის „ნომერ პირველ მოვლენას“ უწოდებენ. პროექტი, რომელიც დღეისთვის 80-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს, კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე, ყოველწლიურად 50 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. ეს პროექტი საშუალებას იძლევა კასპიის ზღვის შელფზე – აზერი-ჩირაგი-გიუნეშლი ახალი საბადოების ათვისებისა, – აღნიშნულია წერილში, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მნიშვნელობას ეხება.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 4. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2007 წელი.

◎ წარდგინება

# ალმანახი, რომელიც შობას ჰგავს

**როდესაც საგამომცემლო ბიზნესი მხოლოდ „საჭირო“ წიგნების გამოცემას უზრუნველყოფს, საბავშვო წიგნს კი მხოლოდ ერთადერთი – კომერციული ფუნქციაღა შემორჩენია, როდესაც თითქმის არავის აინტერესებს, რით სუნთქავს ბოლო 15 წლის განმავლობაში საბავშვო ლიტერატურა და მთლიანად უგულებელყოფილია ეროვნული მწერლობა, როგორც ბავშვის სულიერების მძლავრი ბურჯთაგანი, აი, ასეთ დროს ლიტერატურულ ცხოვრებას იწყებს საბავშვო ლიტერატურის ალმანახი და ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ „საბავშვო ლიტერატურა ყველაზე აუცილებელი და საჭირო ლიტერატურაა, რომლის მიმართ დამოკიდებულება ზუსტად ისეთივე უნდა იყოს, როგორც – ყრმის მიმართ“.**

ვინც ორიოდე თვის წინათ, ეროვნულ ბიბლიოთეკაში საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის დაარსებას შეესწრო, აუცილებლად ეცოდინება, რომ ამ მოკლე დროში ფონდმა ორ დიდ საქმეს უკვე ჩაუყარა საფუძველი. 27 ოქტომბერი – იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე, საბავშვო წიგნის დღედ გამოცხადდა, ახლახან კი, წინასაახალწლოდ, საბავშვო ლიტერატურის ალმანახი იშვა. ალმანახმა დიდი ტრადიციების მქონე საყმაწვილო ლიტერატურის მეწინამძღვრეობა ითავა.

ალმანახის წარდგინების დღეს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ყველაზე მეტად ამ საქმის მესვეურები, ახალგაზრდა მწერლები: ირმა მალაციძე და მარიამ წიკლაური ღელავდნენ – მათმა უდიდესმა შრომამ კეთილი ნაყოფი გამოიღო და ყველა ბავშვისთვის სასურველი კრებული იშვა.

საბავშვო ლიტერატურის მოამაგეთ მხარში ამოუდგა „სახალხო ბანკი“ დევიზით: „განათლებული და წიგნიერი მომავალი მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარია“. ალმანახს „სახალხო ბანკი“ მატერიალურად შეეწია და საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდთან ერთად აქცია დაიწყო: სრულიად საქართველოს სახალხო ბანკის ოფისებში შეგროვდება წიგნები ზემო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბავშვებისათვის: „იმედია, ამ აქციაში საზოგადოება აქტიურად ჩაერთვება. ბანკში სახალხო ფონდი ჩამოვაყალიბეთ, რომელიც სწორედ მოსახლეობის თანადგომას ითვალისწინებს. ყველა მოწონებულ იდეას ფონდი დააფინანსებს,“ – თქვა ალმანახის წარდგინებაზე „სახალხო ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ.




ამ პროექტს მხარს უჭერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც. ალმანახის წარდგინებაზე საგანგებოდ მოსულმა მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ მოიწონა ბანკების ჩართვა საგანმანათლებლო და ლიტერატურულ პროცესებში და ყველას შეახსენა, რომ ეს ჟურნალი ოდენ პატარებისთვის კი არ არის, არამედ მასში, უწინარესად, არის საზრდო უფროსებისთვის. ამიტომ უფროსებს მართებთ მის მიმართ ყურადღების გამოჩენა.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ალმანახის მთავარმა რედაქტორმა მარიამ წიკლაურმაც დაადასტურა: ჟურნალში უფროსი თაობა მრავალ საგულისხმო რამეს ამოიკითხავსო.

მსგავსი ტიპის გამოცემა დღეს არ არსებობს, მაგრამ ალმანახი ცარიელ ადგილას არ დაბადებულა. იგი აგრძელებს XX საუკუნის 70-იან წლებში გამოცემული „საბავშვო ლიტერატურის მოამბისა“ და შემდგომ „ჯეჯილის“ ტრადიციებს, რომელმაც 80-იან წლებში შეწყვიტა არსებობა. ბოლო ოცი წელიწადი მსგავსი ჟურნალი არ გამოცემულა.

თემატურად მრავალფეროვანი კრებული საბავშვო ლიტერატურის ყველა პრობლემას წარმოაჩენს. ალმანახში ყველა თაობის მწერლების, მხატვრების, ილუსტრატორების, მუსიკოსების შემოქმედებაა თავმოყრილი და ამითაც ფასეულია. ჟურნალი აშუქებს აგრეთვე, საბავშვო კინოსა და თეატრის პრობლემებს და აქვეყნებს თანამედროვე საბავშვო ლიტერატურისთვის ჯერ კიდევ უცნობი ავტორების თარგმანებს და საბავშვო დრამატურგიას.

მწერალმა დოდო ხიმშიაშვილმა ამ ალმანახის დაბადება შობას შეადარა: ალბათ, ანგელოზები თავს დასტრიალებენ საბავშვო ლიტერატურას და ბავშვებს და ზეცაში აჰყავთო!

ჩვენი ძვირფასი რევაზ ინანიშვილის მეუღლემ, ქალბატონმა როზამ კი სინანულით თქვა საღამოზე, ეს ალმანახი რეზოს რომ ენახა, ასე მგონია, სიცოცხლეს შემატებდაო...

მთავარია, რომ დიდი სამომავლო საქმე დაიწყო – განათლებული, მოაზროვნე და ჭეშმარიტი ფასეულობების მქონე მოქალაქეების აღზრდა. ალმანახის რედაქციას ამ საქმეში საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედი აქვს. უნდა დაიბადოს საბავშვო წიგნის ფესტივალები, გამოფენები, ტელე და რადიო გადაცემები, კონკურსები. საბავშვო ლიტერატურა წარმოუდგენელია სერიოზული კონკურსის გარეშე. ქართულ საბავშვო მწერლობაში ახალი სახელები დამკვიდრდა. მათ წარმოჩენა და ხელის შეწყობა სჭირდებათ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

● ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბრიტანელი ორმაგი აგენტი ედი ჩეპმენი მეორე მსოფლიო ომის წლებში აპირებდა აეფეთქებინა თავი ჰიტლერთან ერთად



№ 4. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2007 წელი.

## მოკლედ

ბრიტანეთის დაზვერვამ ჰიტლერის აფეთქების ნება არ დართო თავის საიდუმლო აგენტს „ზიგზაგს". ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბრიტანელი ორმაგი აგენტი ედი ჩეპმენი მეორე მსოფლიო ომის წლებში აპირებდა აეფეთქებინა თავი ჰიტლერთან ერთად. ჩეპმენი მზად იყო გადაედგა ასეთი ნაბიჯი თუნდაც იმ მიზნით, რომ სამუდამოდ შესულიყო მსოფლიო ისტორიაში.

* * *

უკრაინელი მფრინავები, რომლებიც ბერგენიდან ბაქოში გაფრენას აპირებდნენ, ნორვეგიელ გამო-




მძიებელთა წინაშე წარსდგებიან. ნორვეგიის პოლიციამ ამ ქვეყნის ქალაქ ბერგენის მახლობლად მდებარე ფლესლანის აეროპორტში დააკავა ან-22 თვითმფრინავის შვიდკაციანი ეკიპაჟი. ოთხ მფრინავს, მათ შორის ხომალდის კაპიტანსაც, სისხლში ალკოჰოლის გადიდებული შემცველობა დაუდგინეს. მფრინავები დაპატიმრებულები არიან და მათ ახლა ემუქრებათ ან ორწლამდე თავისუფლების აღკვეთა ან დიდი ჯარიმის გადახდა.

* * *

ესტონეთს არ სურს თქვას უარი რუსეთთან საზღვრის რატიფიკაციის შესახებ კანონის პრეამბულაზე. როგორც ცნობილია, რუსეთმა გამოიხმო თავისი ხელმოწერა 2005 წელს დადებული ხელშეკრულებიდან, რადგან ესტონეთმა დოკუმენტში ცვლილებები უკვე მისი ხელმოწერის შემდეგ შეიტანა. 2006 წელს მოსკოვმა ტალინს ახალი ხელშეკრულება შესთავაზა, მაგრამ ამის პასუხად ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მას „არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები არ აქვს".

* * *

ყირგიზეთში მიწისძვრა მოხდა. ქვეყანაში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. მართალია, მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობს თურქესტანის მთებში, ყირგიზეთ-ტაჯიკეთის საზღვრების მახლობლად, მაგრამ 4 ბალი სიმძლავრის ბიძგები უზბეკეთშიც კი იგრძნობოდა. წინასწარი მონაცემებით მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

* * *

ამერიკული წყალქვეშა ნავი არაბეთის ზღვაში შეეჯახა იაპონურ ტანკერს. Newport News წყალქვეშა ნავი „ლოს-ანჯელესის" კლასს მიეკუთვნება. როგორც წესი, ასეთი სუბმარინები აღჭურვილები არიან ფრთოსანი რაკეტებით და როგორც ჩვეულებრივი, ისე ბირთვულმუხტიანი ტორპედოებით.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართულ მანდარინს ბოიკოტი გამოუცხადეს

**უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც რუსეთ-საქართველოს საზღვართან დგანან სატვირთო მანქანები. როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აკრძალულია საქართველოდან ხილისა და ბოსტნეულის შეტანა. ციტრუსი კი იყინება და ფუჭდება.**

მრავალი მძღოლი საზღვართან ტოვებს მანქანებს. უწყლობამ, საკვების უკმარისობამ, ძლიერმა ყინვამ ძალზე გატანჯა ადამიანები. მანქანებში საწვავი ილევა, ამიტომაც მძღოლებს გათბობა უწევთ კოცონებთან. „ზოგი გაცივდა, ზოგი ავად გახდა, — გვითხრა მძღოლმა თემურ ხუგაევმა. — ყინვის გამო ხალხს აქ ყოფნა აღარ შეუძლია".

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ზედამხედველობის სამმართველოში აღნიშნეს, რომ ყველა მძღოლმა კარგად იცის საქართველოდან რუსეთში ხილ-ბოსტნეულის შეტანაზე დაწესებული აკრძალვის შესახებ. „ცენტრიდან" საგანგებო განკარგულების გარეშე ამ მანქანებს რუსეთის ტერიტორიაზე არ შეუშვებენ. „ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ და ვატა-




რებთ კიდეც მხოლოდ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მოწეულ ფიტოსანიტარიულ პროდუქციას. ეს არის ვაშლი, მწვანილი, ყურძენი. მაგრამ მანდარინი სამხრეთ ოსეთში არ ხარობს", — გვითხრა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ზედამხედველობის სამმართველოს ხელმძღვანელმა ვლადიმერ კალოევმა.

საქართველოდან ხილის შეტანაზე დაწესებული აკრძალვის შედეგად ხალხი დიდ ზარალს განიცდის. თუ მანქანებს უახლეს მომავალში მაინც გაატარებენ, მაშინ კიდევ გვექნება ხარჯების ანაზღაურების მცირე შანსი მაინც, — ამბობენ მძღოლები. მაგრამ დრო სულ უფრო ცოტა რჩება: მანდარინი ხომ მალფუჭებადი პროდუქტია.

არსებული კანონის თანახმად, სპეციალური დოკუმენტების გარეშე რუსეთის საზღვარზე შეიძლება მხოლოდ 30 კილოგრამი მანდარინის გადატანა. ახლა კი საზღვართან დაახლოებით 1000 ტონა ციტრუსია. თუ უახლესი 2-3 დღის განმავლობაში კოლონას არ გაატარებენ, მთელი ეს მანდარინი პირდაპირ ხეობაში იქნება გადასაყრელი.

**ალექსანდრე კუნდუხოვი**

ГазетаСНГ

# განიხილავენ მოხსენებას სომხეთის შესახებ, კოსოვოს სტატუსს და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2007 წლის პირველ სხდომაზე, რომელიც 23 იანვარს უნდა გაიმართოს, განიხილავენ მოხსენებას სომხეთის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესახებ. იგი მოამზადეს ჟორჟ კოლომბიმ (საფრანგეთიძ და მიკო ელონომ (ფინეთიძ.**



შეგახსენებთ, რომ სომხეთის პარლამენტის სპიკერმა და სომხეთის დელეგაციის მეთაურმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ტიგრან ტორსიანმა დადებითად შეაფასა მოხსენება და რეზოლუციის პროექტი. 24 იანვრის სხდომა მიეძღვნება კოსოვოს მომავალ სტატუსს. სხდომის მონაწილეები ასევე განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის კონფესიათაშორისი დიალოგი, ბავშვის უფლებები, აგრეთვე მუქარა ჟურნალისტების მიმართ.

როგორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრესცენტრი იტყობინება, სხდომაზე ასევე იმსჯელებენ რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობაში არსებული დაძაბულობის საკითხზეც.

REGNUM

# სადღეისოდ საქართველოში 178 პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული

**ასეთ ინფორმაციას ავრცელებს ჩვენი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტის მონაცემებს.**



პარტიების (გაერთიანებებისძ რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს 1997 წლიდან. სამინისტროს ინფორმაციით, 1997 წელს რეგისტრაცია გაიარა მხოლოდ ერთმა პარტიამ, 1998 წელს ეს რიცხვი უკვე 86-ს შეადგენდა. 1999 წელს ამას დაემატა კიდევ 39 პარტია და გაერთიანება, 2000 წელს — 4, 2001 წელს — 17, 2002 წელს — 12, 2003 წელს — 18, 2004 წელს — 4, 2005 წელს — 4, 2006 წელს რეგისტრაციაში გაატარეს ორი ახალი პოლიტიკური პარტია — „ჩვენ თვითონ" (ლიდერი — პაატა დავითაიაძ და „საქართველოს გზა" (ლიდერი — ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბაშვილიძ. რეგისტრაციაში გატარებული 187 პარტიიდან 9 ლიკვიდირებული ან რეორგანიზებულია.

REGNUM

◉ ვეტერანები

# კოკოითს მოსკოვი მართავს

***სამხრეთ ოსეთის ალტერნატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული დიმიტრი სანაკოევი თბილისში ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ნუგზარ ცაგარეიშვილს შეხვდა. როგორი ურთიერთთანამშრომლობა დაისახა ოს და ქართველ ვეტერანებს შორის და არის თუ არა ეს ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ტერიორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში? — ამაზე თავად ამ შეხვედრის ინიციატორი ნუგზარ ცაგარეიშვილი საუბრობს.***

— ჩვენ გვყავს ახლო მეზობელი, რომელიც დაინტერესებულია „კავკასიური" კონფლიქტებით და ქართველი ხალხის დამცირებით. ეს ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა არ უნდა დავუშვათ, რადგან, მოგებული დარჩება მხოლოდ რუსეთი, რომელიც გაიხარებს ჩვენი დაშლა-დაქუცმაცებით. აქედან გამომდინარე, მართლაც დადგა დრო, რომ ამ თვალსაზრისით რაღაც ნაბიჯები გადაიდგას. ჩვენი ინიციატივით მოვაწყვეთ ეს შეხვედრა, რათა დაიწყოს ოსი და ქართველი ვეტერანების შერიგების პროცესი.



**— თქვენ აპირებთ ერთმანეთს შეახვედროთ ქართველი და ოსი ვეტერანები. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს იქნება ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ?**

— რა თქმა უნდა ვგეგმავთ, რომ მჭიდრო კავშირი დავამყაროთ ოს და აფხაზ ვეტერანებთან. მე მესმის, რომ ცხინვალში არსებობს შიშის სინდრომი კოკოითის რეჟიმისა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გონიერი ხალხი დაძლევს ამას. ჩვენ უნდა შევრიგდეთ! თუ მეომარი მეომარს სიტყვას მისცემს, ის სიტყვას არ გასტეხს. ჩვენ გვინდა, ასევე მოსახლეობა დავარწმუნოთ, რომ სისხლი არამც და არამც არ უნდა დაიღვაროს და ეს კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს.

**— ეს ალბათ იმის ნიშანიც იქნება, რომ საქართველო ამ კონფლიქტის მოგვარებას ძალისმიერი მეთოდებით არ აპირებს.**

— ჩვენ გვსურს მსოფლიოს დავანახოთ, რომ ვეტერანები და არა მარტო ჩვენ, მთლიანად ქართველი ერი სისხლისღვრის წინააღმდეგია. დიმიტრი სანაკოევმაც ჩვენთან შეხვედრისას ეს აზრი გაიზიარა. უკვე ნათელია, თუ რა თამაშს ეწევა ედუარდ კოკოითი. იგი არ არის ის პიროვნება, ოსური მოსახლეობა რომ მართოს. კოკოითს მართავენ მოსკოვიდან და მალე მოვა დრო, როცა ის დატოვებს საქართველოს.

**თამარ ხურცია**

# დედამიწის ზურგზე

● ბაღდადში მოთარეშეებმა საჯაროდ ჩამოახრჩვეს რამდენიმე ათეული შიიტი. სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯას ასე მოჰყვა თვით ერაყში არა მარტო ახალი ტრაგედია, არამედ საშინელი შურისძიებაც.



## ევროპა როგორმე გაიტანს თავს

**ევროპის ნავთობის ბაზრები გაუძლებენ რუსეთიდან ნავთობის მიწოდების შეწყვეტას, რის შედეგადაც პოლონეთი, გერმანია და ევროპის ზოგიერთი ქვეყანა რუსული ნავთობის გარეშე დარჩა, აცხადებდა სამშაბათს საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო.**

როგორც რუსეთის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მოსკოვი იძულებული გახდა გადაეკეტა ნავთობი ბელორუსიისთვის, რათა თავიდან აეცილებინა ნედლეულის „მოპარვა". ყოველივე ამის გამო ნავთობსადენ „მეგობრობით" ნედლეულს ვეღარ იღებენ პოლონეთი, გერმანია, სლოვაკეთი და ჩეხეთი. ნავთობი შეფერხებებით მიეწოდება უნგრეთსაც.



სამშაბათს მოსკოვში სასწრაფოდ ჩავიდა ბელორუსიის ვიცე-პრემიერი ანდრეი კობიაკოვი, რომელიც იქ გამართავს მთელ რიგ მოლაპარაკებებს.

„ნედლეულის მიწოდების შეწყვეტას არ მოუხდენია ზემოქმედება იმ ქვეყნების არცერთ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე, რომლებიც ნედლეულს „მეგობრობის" მილსადენით იღებდნენ. ყველა ქვეყანას აქვს რამდენიმე დღის სამუშაო მარაგი", – ხაზგასმულია საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„თუ ნავთობსადენ „მეგობრობით" ნედლეულის მოწოდება ხანგრძლივი ვადით შეწყდება, მაშინ ყველა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ნავთობის მიღებას უზრუნველყოფს ალტერნატიული მარშრუტებით. ზოგიერთი მათგანი უკვე ცდილობს ამის გაკეთებას ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან ან სხვა წყაროებიდან მომავალი მილსადენებით", – აცხადებს საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო.

ნავთობსადენ „მეგობრობის" ჩრდილოეთის განშტოება ნედლეულს აწვდის პოლონეთსა და გერმანიას, სამხრეთისა კი – უკრაინას, სლოვაკეთს, უნგრეთსა და ჩეხეთს.

როგორც ეკონომიკის საკითხებში „ბი-ბი-სის" კორესპონდენტმა ენდრიუ უოკერმა თქვა, რუსეთიდან ნავთობის მოწოდების შეწყვეტა ევროპას კიდევ ერთხელ შეახსენებს იმ მზარდ როლს, რომელსაც რუსეთი ასრულებს ენერგეტიკული რესურსებით დასავლეთის უზრუნველყოფის საქმეში.

ევროკავშირი მისდაუნებურად ჩათრეული აღმოჩნდა მინსკსა და მოსკოვს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების მოწესრიგებაში, და ამიტომაც აპირებს გამართოს მოლაპარაკება კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტრუქტურაში არსებული ავტონომიური ორგანო.

ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების კოლექტიური ენერგეტიკული უშიშროების სისტემის სახით შექმნილი ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრია დასავლეთის ყველა დიდი სახელმწიფო, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, კანადა, საფრანგეთი, აგრეთვე იაპონია და ევროკავშირი.

## სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯას შიიტების მასობრივი ჩამოხრჩობა მოჰყვა

**ბაღდადში მოთარეშეებმა საჯაროდ ჩამოახრჩვეს რამდენიმე ათეული შიიტი. სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯას ასე მოჰყვა თვით ერაყში არა მარტო ახალი ტრაგედია, არამედ საშინელი შურისძიებაც.**



გაზეთ „The Dailly Telegraph" მონაცემებით, კვირას დილით, ბაღდადის ერთ-ერთ სავაჭრო ქუჩაში გაჩერებული მიკროავტობუსიდან გადმოვიდა რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი, რომლებსაც მოჰყავდათ თვალახვეული ტყვეები. მოთარეშეებმა ქუჩის განათების ბოძებზე ჩამოკიდეს თოკები. მძევლები, რომლებიც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ, მათ ადგილზევე დახვრიტეს, დანარჩენები კი – ჩამოახრჩვეს.

როგორც ამ მოვლენის ერთ-ერთმა თვითმხილველმა თქვა, ირგვლივ შეკრებილ ხალხს მოთარეშეებისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია, რადგან მათი დიდი უმრავლესობა სუნიტები იყვნენ. ეს ადამიანები მშვიდად ადევნებდნენ თვალყურს, თუ როგორ ჩამოახრჩვეს ოცამდე შიიტი. მას შემდეგაც კი, რაც გამოიძახეს პოლიცია, თვითმხილველის მტკიცებით, მოთარეშეებს მიმალვა არ უცდიათ და წესრიგის დამცველებს ცეცხლიც კი გაუხსნეს. სროლის შედეგად პოლიციელები გაიფანტნენ, ისინი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდნენ ჯარისკაცებთან ერთად და ჩამოხსნეს გვამები.

როგორც გაზეთი წერს, ასეთი რამ მხოლოდ ერთ ქუჩაზე არ მომხდარა. ჩამოხრჩობილ ადამიანებს პოულობდნენ ბაღდადის სხვა უბნებშიც.

ერაყის სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, ნაპოვნია ასზე მეტი ჩამოხრჩობილი შიიტის გვამები. როგორც ჩანს, მათი უმრავლესობა მოთარეშეებმა მძევლად აიყვანეს სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯის გამო შურისძიების მიზნით. პოლიციელთა მტკიცებით, მძევალთა რიცხვი, შესაძლოა, ორასსაც აღწევს.

**რადგან ერაყის მთავრობა უახლოეს მომავალში აპირებს სიკვდილით დასაჯოს ქვეყნის ექს-პრეზიდენტის კიდევ ორი თანამოსაგრე, ვარაუდობენ, რომ მოთარეშეები დანარჩენ შიიტ-მძევლებსაც ჩამოახრჩობენ.**



## 30 წლის პატიმრობა მიუსაჯეს

**24 წლის პაკისტანელი ემიგრანტი შაჰავარ მატინ სირაჯი ბრალეულად სცნეს ნიუ-იორკის მანჰეტენის რაიონში მეტროს ერთ-ერთ სადგურში ტერაქტის განხორციელების მცდელობაში და 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.**

ნაფიცი მსაჯულების დასკვნით, პაკისტანელი ემიგრანტი ამზადებდა აფეთქებას მეტროს ხალხმრავალ სადგურში, რომელიც მსხვილი სავაჭრო კომპლექსის ქვეშ მდებარეობს.

სირაჯი დააპატიმრეს 2004 წლის 27 აგვისტოს პოლიციის ერთ-ერთი ინფორმატორის ჩვენების საფუძველზე, რომელიც თვალყურს ადევნებდა ისლამისტთა წრეების საქმიანობას 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ.

დაპატიმრებულს ჩამოართვეს სქემები და მეტროსადგურის რუკა. მართალია, ვერ დაამტკიცეს, რომ მან მიიღო ასაფეთქებელი მოწყობილობა ან დაკავშირებული იყო ტერორისტულ ორგანიზაციებთან, მაგრამ გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალეული პირი ნამდვილად გეგმავდა აფეთქებას მეტროს სადგურში.

გამომძიებელთა ვარაუდი დაადასტურა სირაჯის თანაშემწემაც, რომელმაც თავი ბრალეულად ცნო.



პოლიციის საიდუმლო აგენტის მტკიცებით კი პაკისტანელი „ალ-ყაიდას" ლიდერის უსამა ბენ ლადენის აშკარა მხარდამჭერი იყო.

საიდუმლო აგენტის თქმით, მან სირაჯი გაიცნო 2003 წელს ბრუკლინზე, ისლამისტური ლიტერატურის ერთ-ერთ მაღაზიაში. ერთი წლის შემდეგ კი საიდუმლოდ ჩაიწერა საუბარი ტერორისტთან, რომლის დროსაც სირაჯმა ილაპარაკა თავის გეგმებზე, კერძოდ, აღნიშნა, რომ აპირებდა ნიუ-იორკში მეტროს რამდენიმე სადგურის და ხიდების აფეთქებას.

## ტოკიო ფხენიანის ბირთვულ გეგმებს ეწინააღმდეგება

**იაპონია არ დაუშვებს, რომ ჩრდილოეთ კორეა ფლობდეს ბირთვულ იარაღს და ეცდება უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ფხენიანის ბირთვულ ამბიციებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის მიზნით, განაცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ.**

როგორც აბემ აღნიშნა, ჩრდილოეთ კორეა საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს. „თუ ჩრდილოეთ კორეა მიიღებს ბირთვულ არსენალს, ამან შეიძლება გამოიწვიოს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, – განაცხადა აბემ. – ეს მნიშვნელოვნად დაარღვევს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმს, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა მოჰყვეს ირანთან დაკავშირებული პრობლემის კიდევ უფრო გამწვავება".




იაპონიის ახლადდანიშნული პრემიერი აპირებს განახორციელოს ტურნე ევროპის ქვეყნებში, რათა უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს დასავლეთის ლიდერებთან. ევროპული ტურნეს პირველი პუნქტი იქნება ლონდონი, სადაც სინძო აბე გამართავს მოლაპარაკებას თავის ბრიტანელ კოლეგასთან ტონი ბლერთან.

თვით იაპონიაში კი აბემ უკვე დაიწყო ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის გეგმის განხორციელება. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით იაპონიისთვის შეზღუდულია საომარ მოქმედებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. პრემიერის ასეთმა პოლიტიკამ უკვე გამოიწვია შეშფოთება როგორც იაპონიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პრემიერი იცავს ახალ საგარეო-პოლიტიკურ კურსს და აღნიშნავს, რომ იაპონია უკვე 60 წელია ერთგულობს თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალებს. სინძო აბე აცხადებს, რომ იგი ნატოს ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს განიხილავს იმ პოტენციურ წვლილს, რომელიც იაპონიამ შეიტანა პლანეტაზე მშვიდობასა და სტაბილურობის დამყარებაში.

ლონდონის შემდეგ იაპონიის პრემიერი ეწვევა პარიზს და ბრიუსელს. იქ იგი გამართავს მოლაპარაკებას ნატოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან იაპონიისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ იაპონია უკვე თანამშრომლობს ნატოსთან, მაგალითად, ავღანეთში.

როგორც აბემ აღნიშნა, საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე იაპონიის პოზიციის გააქტიურება არ უქმნის საფრთხეს სხვა ქვეყნებს.

## არის ასეთი კლუბიც!

**ამ დღეებში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ასომ განაცხადა, რომ ამომავალი მზის ქვეყანას აქვს ბირთვული იარაღის შესაქმნელი ტექნოლოგიები, თუმცა ტოკიო როდი აპირებს ბირთვულ სახელმწიფოდ ქვეყნის გადაქცევას. ჰო, მაგრამ სადღეისოდ ვინ შედის „ბირთვულ კლუბში"?**

შესაბამისი სია არცთუ გრძელია: აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი და ჩრდილოეთ კორეა.

აშშ გახლდათ ასეთი იარაღის მფლობელი პირველი სახელმწიფო (1945 წ.ძ. სსრ კავშირი (უკანამორბედი – რუსეთი) „კლუბში" 1949-ში შევიდა, საფრანგეთი – 1960-ში, ჩინეთი – 1964-ში, ინდოეთი – 1974-ში, პაკისტანი – 1998-ში.

შარშან ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა ბირთვული იარაღის შექმნის თაობაზე. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ისრაელიც ფლობს ბირთვულ არსენალს, თუმცა ეს ოფიციალურად არ ყოფილა დეკლარირებული. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებამ ნებაყოფლობით გაანადგურეს რამდენიმე ბირთვული რაკეტა, ხოლო საბჭოთა კავშირის სამმა ყოფილმა რესპუბლიკამ – ბელორუსიამ, უკრაინამ და ყაზახეთმა იმათ ტერიტორიებზე განლაგებული ყველა რაკეტა რუსეთს გადასცა.



# დღის ამბები

**კონფლიქტი აფხაზ მესაზღვრეებს შორის წილების გადანაწილებას მოჰყვა**

## „ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია?!“

### 2006 წელს 92 პატიმარი გარდაიცვალა!

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, 2006 წელს გარდაცვლილ პატიმართა რიცხვმა დაკავებულთა საერთო რაოდენობის 0,59 % შეადგინა. გასულ წელს, ყველაზე მეტი პატიმარი (14 დაკავებულიძ სექტემბერში გარდაიცვალა. ოფიციალური მონაცემებით, პატიმართა სიკვდილიანობა, სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულმა გულსისხლძარღვთა უკმარისობამ გამოიწვია.**

2006 წლის მონაცემებით პატიმართა რიცხვმა, ბოლო წლებთან შედარებით, რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. აღნიშნული პერიოდის მონაცემებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში 15 423 პატიმარი იმყოფება.



2005 წლის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში 46 პატიმარი გარდაიცვალა, რაც პატიმართა საერთო რაოდენობის 0,52% შეადგენდა. მაშინ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სულ 8895 პატიმარი იყო

2006 წელს, მისჯილ პატიმართა რიცხვმა მიუსჯელ პატიმართა რაოდენობას გადააჭარბა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საქართველოში გასამართლებულ პატიმართა რიცხვი 71,5 % აღწევს, ხოლო მიუსჯელ პატიმართა რაოდენობა 43,5 % არ აღემატება.

2005 წელს კი მიუსჯელ პატიმართა რიცხვი გასამართლებულ პატიმართა რიცხვს აჭარბებდა. 8895 დაკავებულიდან მიუსჯელ პატიმართა რაოდენობა 56,9 % შეადგენდა, ხოლო მისჯილ პატიმართა რიცხვი 43,1 % არ აჭარბებდა.

იუსტიციის სამინისტრო, რამდენიმე ქვეყნის პენიტენციარული სისტემის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, 100 000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობის მონაცემსაც აქვეყნებს. 2006 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოში 100 000 მოსახლეზე 318 პატიმარი იყო, ანალოგიური რიცხვი მაღალია რუსეთის ფედერაციაში, სადაც 100 000 მოსახლეზე 532 პატიმარია, უკრაინაში – 416, ხოლო ლატვიაში – 337. ამგვარი სტატისტიკა საკმაოდ დაბალია ნორვეგიაში, სადაც 100 000 მოსახლეზე 65 პატიმარი მოდის.

## ურთიერთბრალდება გრძელდება...

**სახელმწიფო ელექტროსისტემამ თბილისის დიდი ნაწილისთვის ელექტროენერგიის დათქმულ დროში მიწოდება ვერ უზრუნველყო.**

როგორც ინტერპრესნიუსს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან აცნობეს, მომხდარი ავარიის აღმოფხვრას წინასწარ განსაზღვრულზე მეტი დრო დასჭირდა, რის გამოც გათიშულმა უბნებმა ელექტროენერგია დღის მეორე ნახევარში მიიღეს.

ამის მიზეზად „თელასში“ დიდუბის ქვესადგურში მომხდარ ავარიას ასახელებენ, რომელიც სახელმწიფო ელექტროსისტემას ეკუთვნის. კომპანია მომხდარზე მთელ პასუხისმგებლობას ელექტროსისტემას აკისრებს. „თელასში“ აცხადებენ, რომ გაუმართაობის გამო, დიდუბის ქვესადგურის ტექნიკამ მოკლე ჩართვას ვერ გაუძლო.

თავის მხრივ, სახელმწიფო ელექტროსისტემაში აცხადებენ, რომ დიდუბის ქვესადგურში ამომრთველების დაზიანება „თელასის“ კუთვნილ 110-კილოვოლტიან ხაზზე ავარიამ გამოიწვია. როგორც „თელასში“ განმარტავენ, აღნიშნული ხაზი წუხელ ბულდოზერის დაჯახების შედეგად დაზიანდა, ხოლო მისი აღდგენის შემდეგ მომხდარმა მოკლე ჩართვამ დიდუბის ქვესადგურის გათიშვა გამოიწვია, რაც ქვესადგურზე სათანადო ავტომატური დაცვის სისტემის არსებობის შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო.

## წყალი – შეფერხებით!

**დიდუბის ელექტროქვესადგურზე გუშინ მომხდარი ავარიის გამო, ვაჟა-ფშაველას გამზირის მცხოვრებლებს სასმელი წყალი შეფერხებით მიეწოდებათ.**

როგორც „ინტერპრესნიუს“ კომპანია „თბილისის წყალში“ აცნობეს, დიდუბის ელექტროქვესადგურზე მომხდარმა დაზიანებამ „დიღომის“ და „ბახტრიონის“ სატუმბი სადგურების გაჩერება გამოიწვია. ამის გამო, ვაჟა-ფშაველას გამზირისთვის სასმელი წყლის მიწოდება შეფერხებულია.

კომპანიაში იმედოვნებენ, რომ არსებული დაზიანების აღდგენა დროულად მოხდება და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის ცისტერნებით მიწოდება საჭირო აღარ გახდება.

## გარიყული უმცირესობა

**სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ გუშინ მოსახლეობისადმი მიმართვა გაავრცელა.**

განცხადება საქართველოში 2006 წელს გატარებულ რეფორმებს ეხება. რელიგიათა საბჭოს იმედი აქვს, რომ სოციალური პრობლემების მოგვარებაში აქტიურად ჩაერთვება და სახელმწიფოსა და მოსახლეობის სრულფასოვანი პარტნიორი გახდება.

რელიგიათა საბჭომ განცხადების ტექსტი სახალხო დამცველის ოფისში გამოაქვეყნა. მიმართვასთან დაკავშირებით კომენტარი სახალხო დამცველმაც გააკეთა.

– ვარდების რევოლუციამდე რელიგიური უმცირესობები არა თუ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, არამედ საერთოდ გარიყული იყვნენ საზოგადოების ცხოვრებიდან. ქვეყანა ვერ აშენდება, საზოგადოება ვერ იქნება მტკიცე თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველას თანაბარი მონაწილეობის უფლება არ მიეცა, – განაცხადა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა.

## ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელმა 29,6 მლნ შეადგინა

**2006 წლის განმავლობაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 934 ერთეული ბუნებრივი რესურსით სარგებლობის ლიცენზია გასცა, რომელიც 788 მეწარმემ შეიძინა.**

2006 წელს გადახდილმა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ოდენობამ, საგადასახადო დეპარტამენტის მიერ კონტროლირებადი სახეების ჩათვლით, 29,6 მლნ ლარი შეადგინა.

ბიუჯეტში გადახდილია სალიცენზიო მოსაკრებელი 400 ათასი ლარის ოდენობით.

## აბა, შენ იცი, ქაცარავა!..

**თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში 45 შტატიანი თანამშრომელი იმუშავებს მამუკა ქაცარავას ხელმძღვანელობით.**

როგორც ინტერპრესნიუსს აღნიშნულ სამსახურში განუცხადეს, უკვე ცნობილია იმ თანამშრომელთა ვინაობა, რომლებიც მუშაობას განაგრძობენ.

სამსახურში 45 შტატიანი თანამშრომელი იქნება, რომელთაგანაც დაახლოებით 18 ჯანდაცვის ყოფილი საქალაქო სამსახურის თანამშრომელია, დანარჩენები განათლებისა და კულტურის, აგრეთვე, სპორტის ყოფილი საქალაქო სამსახურებში მუშაობდნენ.

ახალი თანამშრომლები ყოფილ ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში დღეიდან გადავლენ.

## ელიკო პაპავა შვილთან ერთად შიმშილობს



**ხობის რაიონის სოფელ ხეთაში მცხოვრები ელიკო პაპავა, მცირეწლოვან შვილთან ერთად, ხობის რაიონის გამგეობასთან შიმშილობს.**

ელიკო პაპავას თქმით, იგი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ ოჯახთა სიაში უნდა მოხვედრილიყო და სოციალური დახმარების პაკეტი მიეღო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სახლი თითქმის დანგრეული აქვს და აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობები არ გააჩნია, იგი სოციალურმა აგენტებმა შესაბამის სიაში არ შეიყვანეს.

იგი მოითხოვს, გამოიყოს კომისია, რომელიც მის სოციალურ მდგომარეობას შეისწავლის.

## გუდაუთაში, კერძო სასტუმროში, სამი ადამიანის გვამი აღმოაჩინეს

**გუდაუთაში კერძო სასატუმროში სამი ადამიანის გვამი აღმოაჩინეს.**

გუდაუთაში მდებარე სასტუმრო დიმიტრი არძინბას ეკუთვნის. აფხაზეთის შსს მინისტრის ოთარ ხეციას განმარტებით, მოკლულთა შორის თავად სასტუმროს მეპატრონე 1955 წელს დაბადებული დიმიტრი არძინბაცაა, მეორე გვამი 1965 წელს დაბადებულ დაურ ლაკობას ეკუთვნის მესამე კი – 1960 წელს დაბადებულ ედუარდ ზადეს.

დანაშაულს მკვლელობის კვალიფიკაცია უკვე მინიჭებული აქვს. გამოძიებას გუდაუთის რაიონის ე.წ. პროკურატურა იძიებს.

მიმდინარეობს გამოძიება და მუშავდება რამდენიმე ვერსია. რომლებზეც, ოთარ ხეციას განმარტებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ჯერ არ საუბრობენ.

**SOS!**

## შიდსით გარდაცვლილი 10 წლის მარიამ კინწურაშვილის საქმის მოკვლევა დასრულდა



**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო და საექიმო საქმიანობის კონტროლის სამსახურმა გასული წლის აგვისტოში შიდსის დიაგნოზით გარდაცვლილი 10 წლის მარიამ კინწურაშვილის საქმის მოკვლევა დაასრულა.**

როგორც აღნიშნული სამსახურის უფროსის მოადგილემ ლადო კეპულაძემ განაცხადა, მოკვლევის შედეგად საქმის წარმოების არაერთი დარღვევის ფაქტი გამოვლინდა.

– კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დონორების მიმართ სახელმწიფო კანონი უგულებელყოფილია და სამედიცინო პერსონალის მოქმედება კანონმდებლობასთან შეუსაბამოა. საჭიროდ ჩავთვალეთ, ჩვენს ხელთ არსებული მასალები გადაგვეგზავნა რეგიონის სამართალდამცავი სისტემისთვის, რადგან მათ გააგრძელონ გამოძიება. სამედიცინო პერსონალის მოქმედება სცილდება პროფესიული პასუხისმგებლობის დაყენების საკითხს და უთანაბრდება სისხლის სამართლის დანაშაულს. ამიტომ გამოძიება არა ჯანდაცვის სამინისტრომ, არამედ პროკურატურამ უნდა აწარმოოს, – განაცხადა ლადო კეპულაძემ.

მარიამ კინწურაშვილი შიდსით ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოში, სისხლის გადასხმის შედეგად, 4 წლის ასაკში დაინფიცირდა, ხოლო 2006 წლის 11 აგვისტოს, 10 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში განმარტავენ, ბავშვის გარდაცვალების მიზეზი ქუთაისის სისხლის ბანკში დამზადებული ტრიოპლაზმა გახდა. ტრიოპლაზმა დაავადებული დონორის სისხლისგან დამზადდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზმა მესაზღვრეებმა ერთმანეთს დასცხეს!



**ფსოუსთან, აფხაზების ე.წ. საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე, გუშინ რამდენიმეწუთიანი ინტენსიური სროლის ხმა ისმოდა. სროლის შედეგად რამდენიმე აფხაზი „მესაზღვრე“ დაიჭრა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ე.წ. საკონტროლო პუნქტთან მოვაჭრე ქართველებმა აცნობეს, ინტენსიურ სროლას წინ უსწრებდა ხმამაღალი შელაპარაკება.

წინასწარი ინფორმაციით, კონფლიქტი აფხაზ მესაზღვრეებს შორის წილების გადანაწილებას მოჰყვა.

## ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სამ ობიექტს ყიდის

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ სამი ობიექტი გამოიტანა. ობიექტების გაყიდვიდან სამინისტრო 900 ათასი დოლარის მიღებას ვარაუდობს.**

გასაყიდ ობიექტებს შორისაა ქობულეთში მდებარე პანსიონატი „ფიჭვნარი“, რომელიც 830 ათას დოლარადაა შეფასებული. აგრეთვე, თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, რომლის საწყისი ღირებულებაც 30 ათასი დოლარია.

სამინისტრო ვანის რაიონში მდებარე შპს „სულორჰეს“ ყიდის, საიდანაც 40 ათასი დოლარის მობილიზებას გეგმავს.

აუქციონი 9 თებერვალს გაიმართება.

## სამედიცინო ობიექტების ნუსხაც მზად არის!



**ჯანდაცვის მინისტრმა უკვე ხელი მოაწერა იმ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო ობიექტების ნუსხას, რომელსაც შემდგომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 2007 წლის განმავლობაში გასაყიდად გამოიტანს. სამედიცინო ობიექტების ნუსხაში შედის ისეთი დიდი სამედიცინო დაწესებულება, როგორიცაა ქალაქის № 1 ე.წ. არამიანცის საავადმყოფო.**

როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ გახდა ცნობილი, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა აღნიშნულ დოკუმენტს ხელი 2006 წლის ბოლო დღეებში მოაწერა.

რამდენიე დღეში აღნიშნული სია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაეცემა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

# სპორტი

● 21 წლის მერაბ გაგუნაშვილმა ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და მთავარ პრიზსაც დაეუფლა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი რუსმა ვალერი ნევეროვმა დაიკავა



◎ ფეხბურთი

## თურქეთის ცის ქვეშ

**დღეს თბილისის „დინამო“ ათდღიან თურქულ შეკრებას იწყებს. ანთალიაში დუშან უგრინის გუნდი ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „სელინიში“ იცხოვრებს და 20 იანვრამდე რუსულ და უკრაინულ კლუბებთან სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.**

**12 იანვარი.** „დინამო“ – გროზნოს „თერგი“.

**15 იანვარი.** „დინამო“ – ზაპოროჟიეს „მეტალურგი“.

**19 იანვარი.** „დინამო“ – „ხარკოვი“.

აქვე გაუწყებთ იმ მოთამაშეთა ვინაობასაც, ვინც ჩეხმა მწვრთნელმა მეზობელ ქვეყანაში იახლა თან:

**მეკარეები** – გრიშიკაშვილი, ლორია, მაკარიძე.

**მცველები** – აკობია, ბოლქვაძე, ზელიჩი, ნოზაძე, გიგაური, თომაშვილი, გუგავა, შოთა და გურამ კაშიები.

**ნახევარმცველები** – ჩირიკაშვილი, ნერგაძე, კობახიძე, მერებაშვილი, ხმალაძე, ხუციშვილი, დილმელაშვილი, ოდიკაძე.

**თავდამსხმელები** – ვაწაძე, დვალი, იაშვილი, ჯანაშია, კაკალაძე.

◎ ჭადრაკი

## პირველად – ქართველი დიდოსტატი



**ჰასტინგსში 82 წელიწადია, მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი იმართება და ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრების გამარჯვებული წლეულს პირველად გახდა ქართველი დიდოსტატი.** 21 წლის მერაბ გაგუნაშვილმა ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და მთავარ პრიზსაც დაეუფლა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი რუსმა ვალერი ნევეროვმა დაიკავა.

◎ სუმო

## ნავსი გატეხა

**მოგეხსენებათ, შარშანდელი სეზონი წარუმატებლად დაასრულა ლევან ცაგურიამ, რომელიც კომუსუბის წოდებას დაემშვიდობა (ვიმედოვნებთ, დროებით).**

სამაგიეროდ, ქართველმა სუმოისტმა ტოკიოში დაწყებულ იანვრის ბაშოზე პირველი გამარჯვება დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა ტოჩინონადასთან მოიპოვა, რომელსაც იორიკირის ილეთით სძლია. ამ მოგების შემდეგ „კოკაის“ ბალანსი 1:1 გახდა (სადებიუტო ორთაბრძოლა ჩვენმა თანამემამულემ ტაკამისაკარისთან დათმო). მისი მომდევნო მეტოქე აღმოსავლეთის მესამე მაეგაშირა კიოკუტენჰო იქნება.

◎ მეზობლებთან

## „ზიდანის ადგილას მეც ასე ვიზამდი“

**„კომსომოლკას“ მკითხველებმა გასული წლის საუკეთესო გუნდად ფრენბურთში რუსეთის ქალთა ნაკრები დაასახელეს (რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა), საუკეთესო მწვრთნელად – ჯოვანი კაპრარა (ჩემპიონთა იტალიელი მწვრთნელი), საუკეთესო სპორტსმენად – ევგენი პლიუშჩენკო (ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟთა ფიგურულ სრიალში). 2006-ის ყველაზე გამორჩეულ სპორტულ ამბებად კი ტურინის ზამთრის ოლიმპიადა და გერმანიაში გამართული მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი მიიჩნიეს. სწორედ ამის თაობაზე ჰკითხეს საუკეთესო რუს სპორტსმენს.**



***– ევგენი, საფეხბურთო პირველობის ფინალს თუ უყურეთ?***

– კი, იმ დროს ამერიკაში ვიყავი, ტური მქონდა.

***– გახსოვთ ცნობილი ეპიზოდი, როცა ზიდანმა მატერაცის თავი ხეთქა?***

– რასაკვირველია; კარგა გვარიანად ურქინა.

***– სწორად მოიქცა?***

– თუ კაცი შეურაცხყოფს შენს დედას, დას, ცოლს – საპასუხოდ ხომ არ გაუღიმებ. მე მგონია, ზინედინმა ყველაფერი სწორად გააკეთა. ეგებ თავისი გუნდი დაალალატა, მაგრამ ოჯახის ღირსება იცავდა...

„КП“

◎ ორბიტაზე

## სტატისტიკის მსხვერპლი

**როგორც ცნობილია, ამერიკული ფეხბურთი ითვლება სპორტის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სახეობად. იშვიათია, სეზონმა უმსხვერპლოდ ჩაიაროს.** მართალია, გასული საუკუნის 70-იან წლებში თამაშის მკაცრი წე-



სების მიღების შემდეგ, სიკვდილიანობამ, ერთგვარად იკლო, მაგრამ სხვა მიზეზებით ლეტალური შედეგები უფრო გახშირდა. უფრო გახშირებულია სითბური დაკვრით გამოწვეული შემთხვევები. ამ დიდებული თამაშის მთელს ისტორიაში დაახლოებით ორასი სპორტსმენი დაიღუპა.

მაგრამ ყველაზე განსაკუთრებულია ბოლო ფაქტი. სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის ფეხბურთის გუნდის მოთამაშე მარიო დანელო იპოვეს 35 მეტრის სიღრმის ხრამში გადაჩეხილი. მამამისი ჯო დანელო ერთ-ერთ ყველაზე მაღალი კლასის მოთამაშედ ითვლებოდა.

როგორც საოლქო პოლიცია დაბეჯითებით ირწმუნება, ხრამში გადავარდნა გამოწვეული უნდა იყოს ან უბედური შემთხვევით, ან თვითმკვლელობის მცდელობით, რაც შეყვარებულთან უთანხმოებას შეიძლება მოჰყოლოდა.

## ფეხბურთს მოდელობა ამჯობინა

**ვფიქრობთ, მტკიცება არ უნდა, რომ სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები მსოფლიოში მაღალი ტექნიკით გამოირჩევიან. ახლა კი გამოირკვა, რომ ვაჟებს არც მათი ქალი კოლეგები ჩამორჩებიან. მაგალითად, „ფლამენგოს“ ფორვარდი რობერტა პორტელიუ. თავისი არგენტინული წარმოშობის მიუხედავად, 21 წლის ფეხბურთის ლამაზმანი მშვენივრად გრძნობს თავს ბრაზილიაშიც, სადაც გულშემატკივართა დიდი სიყვარულით სარგებლობს.**

თუმცა მისი სახელი უფრო ხშირად მოდელებს შორის ჩანს, ვიდრე ფეხბურთელებში. ის ძალზე ხშირად ჩნდება მოდური ჟურნალების გარეკანებზეც.

ამაში რობერტა სამარცხვინოს ვერაფერს ხედავს. ქალთა ფეხბურთი არცთუ პოპულარულია, მიაჩნია მას, – „მე კი გაცილებით მსიამოვნებს ნამდვილ ქალად ყოფნა, ვიდრე გაოფლიანებულ ცხოველად ფეხბურთის მინდორზე“.



◎ ქველმოქმედი

## „რასაცა გასცემ, შენია“



**დეკემბრის მიწურულს საქართველოში რამდენიმე საინტერესო სპორტული ღონისძიება გაიმართა. ყველა მათგანის აქტიური მონაწილე გახლდათ ბიზნესმენი და ყოფილი მოჭიდავე უშანგი ყურაშვილი, რომელმაც ძიუდოისტ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორები და სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნები „ადიდასის“ პიჟამოებითა და თასებით დააჯილდოვა, ხოლო შარშანდელი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი მინდია ბოდაველი სრული სპორტული ეკიპირებით, სპეციალური მედლითა და თასით, ასევე, ათასი ლარით დაასაჩუქრა. თანაც ყველა მათგანს დაურიგა „ოქროს ბართი“, რომლითაც ერთი წლის განმავლობაში ისინი „დინამოს“ მაღაზიაში ყველა სახის საქონელს ორმოცდაათპროცენტიანი ფასდაკლებით შეიძენენ.**

ემადლიერებიან გულისხმიერ ქველმოქმედს ათლეტები, განსაკუთრებით – სამბისტები, მრავალგზის უანგაროდ გაწეული დახმარებისათვის.

– ჩემში თუ რამ არის ღირებული, სპორტმა მომცა, – მითხრა ბატონმა უშანგიმ. – ბევრი გაჭირვება გამომივლია ჭაბუკობისას. ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს მატერიალურ თუ მორალურ მხარდაჭერას, ამიტომაც თავს მოვალედ ვთვლი, გვერდით დავუდგე იმ ადამიანებს, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე ქვეყნის სადიდებლად ძალ-ღონეს არ იშურებენ.

მცირე სასპორტო ბიზნესი აქვს უშანგი ყურაშვილს, მაღაზია „დინამოს“ და „ტრენაჟორების სახლის“ გენერალურ დირექტორს. თხუთმეტი წელიწადია ამ საქმეს მისდევს, ანუ მას შემდეგ, რაც იძულებული გახდა, აქტიური სპორტისთვის თავი დაენებებინა...

სოფელი ხოვლე, მოგეხსენებათ, საჭიდაო ტრადიციებით არის განთქმული. იქაურ ნახერხმოყრილ სარბიელზე გაიზარდნენ ცნობილი ფალავნები – ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები, ოთარ ყურაშვილი, შალვა პაპინაშვილი, მამუკა ჯანანაშვილი, ზურაბ და ზაურ ბახტაძეები, სხვებიც. ამ ღია საჭიდაოზე გამოუცდია საკუთარი მკლავისა და მუხლის ძალა ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ჩოჩიშვილსაც. ჩემს სოფელში იმდენი კარგი ფალავანი იზრდებოდა, რომ ორი საკავშირო ნაკრები დაკომპლექტდებოდაო, ამბობს უშანგი. თავადაც სოფლის ნახერხმოყრილ სარბიელზე ეზიარა ჭიდაობის ანაბანას ძმები ნინიაშვილების ხელმძღვანელობით. ის იყო დიდ სპორტში უნდა გაეკაფა გზა, რომ ურალში ამოყო თავი.

– მამა მაგნიტოგორსკში მუშაობდა და მეც იქითკენ გამიწია გულმა, – იხსენებს იგი. – ქალაქში შემთხვევით გავიცანი სამბოს და ძიუდოს მწვრთნელი ვალერი შმონინი, რომელმაც ქალაქ ამურის კომსომოლსკში მიმიწვია...

ეს იყო 1971 წელს. ქართველი ჭაბუკი იმავე სეზონში ხაბაროვსკის მხარის ჩემპიონი გახდა ძიუდოში. მერე კიდევ შვიდჯერ მოიპოვა მსგავსი ტიტული სპორტის ამ სახეობასა და სამბოში, რომელიც მაშინ არანაკლებ პოპულარული გახლდათ. პერსპექტიული მოჭიდავე საცხოვრებლად ხაბაროვსკში გადაიყვანეს, სადაც მილიციის სკოლაშიც ჩაირიცხა.

1977 წელს ბარნაულში სამბისტთა რუსეთის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. ასევე, ვერცხლის მედალი ხვდა მომდევნო წელს ძიუდოში რსფსრ-ს ხალხთა სპარტაკიადაზე. არადა, სწორედ ეს ასპარეზობა აღმოჩნდა მისთვის საბედისწერო – ხელის მძიმე ტრავმის გამო ტატამსა და ხალიჩას გამოეთხოვა, თუმცა, სპორტისთვის ზურგი არასდროს შეუქცევია. უფრო მეტიც, ახალგაზრდობისდროინდელი ოცნება „სიბერეში“ აისრულა – ხუთგზის მსოფლიო და ორგზის ევროპის ჩემპიონია ვეტერან სამბისტთა შორის, 1996 წელს კი ოთარ ყურაშვილთან და ზაურ სახვაძესთან ერთად პანამერიკული თამაშები მოიგო.

– იმ შეჯიბრებაზე კალიფორნიიდან ნიუ-იორკში ჩვენს საქომაგოდ ჩამოფრინდა წარმატებული ბიზნესმენი და ყოფილი მოსკოველი მოჭიდავე დავით რუდმანი, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ამჟამად იგი სამბოს საერთაშორისო ფედერაციას უდგას სათავეში. მისი მიზანია, ეს სახეობა სოკ-ს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეატანინოს. რუდმანის ხასიათი რომ ვიცი, სიტყვას შეასრულებს, ამიტომ ქართულ სამბოს აქედანვე სჭირდება მეტი ყურადღება.

**– ბატონო უშანგი, ბოლო დროს საქმის კაცებმა თქვენებრ სპორტისკენ იბრუნეს პირი. ეს დროებითი მოვლენა ხომ არ არის?**

– არა მგონია, რადგან ადამიანთა ჯანმრთელობისთვის გაღებული სიკეთე დიდი მადლია, საერთაშორისო სარბიელზე მშობლიური ქვეყნის უკეთ წარმოჩენის საწინდარია და, რაც მთავარია, როგორც ბრძენი შოთა ბრძანებდა, „რასაცა გასცემ შენია“. უანგაროდ დამაშვრალ ადამიანთა შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო სათნოებითა და გულისხმიერებით აღსავსე პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი, ქველმოქმედი და სწორუპოვარი მეცენატი ქალბატონი მაია რჩეულიშვილი, რომელმაც დიდი ხანია სპორტსმენთა თანადგომითაც გაითქვა სახელი. დარწმუნებული ვარ, ამგვარი ადამიანების დახმარებით წლეულს ჩვენი ათლეტები უფრო ლაღად გაშლიან მხრებს და მედლებთან ერთად პეკინის 2008 წლის თამაშების საგზურების სიუხვითაც გაგვახარებენ.

ესაუბრა

**ვაჟა დანელია**



**სურათებზე: უშანგი ყურაშვილი მინდია ბოდაველს აჯილდოებს; ხაბაროვსკის ტატამზე.**

● ფსიქოგრაფია – ესაა ჩვენს ქვეცნობიერებასთან ურთიერთობის ხერხი, რომელიც იმქვეყნიურ სამყაროში გამყოლის როლს ასრულებს



◎ ჩვენ და სამყარო

# ვინ გვიკარნახებს საიქიოდან?

**ფსიქოგრაფიას (სხვაგვარად მას „ავტომატური წერა“ ეწოდება) ადამიანის ნება-სურვილის დაუკითხავად ინფორმაციის მიღების პროცესს უწოდებენ. ამავე დროს, ლაპარაკია კონკრეტული პირისთვის მანამდე სრულიად უცხო თემებზე, რომლებიც ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ხშირად „მიმღებისთვის“ აბსოლუტურად უცხო ენებზეა „დაწერილი“.**

## მონაცემთა მსოფლიო ბანკი

„ავტომატური წერის“ საფუძვლიანი შესწავლა მეცნიერებმა ბოლო დროს დაიწყეს. ამდენად, ამჟამად ძირითადად მხოლოდ ფაქტების დაგროვება და მათი მეცნიერულად გააზრება მიმდინარეობს.

ფაქტობრივად, ფენომენის არსი ასეთია: **გარკვეულ დროსა და ვითარებაში „ვიღაც“ ან „რაღაც“ კაცს რაღაც კალმის ან საბეჭდი მანქანის მსგავს „საწერ მოწყობილობად“ აქცევს ხოლმე. ანომალურ მოვლენათა შემსწავლელი მეცნიერები ფსიქოგრაფიის ახსნას ცდილობენ დედამიწის ირგვლივ არსებული საინფორმაციო ველის არსებობით. გამარტივებულად, იგი შეიძლება წარმოვადგინოთ მონაცემთა განუზომლად დიდი რაოდენობის მქონე კომპიუტერულ ბანკთან, რომელშიც ჩადებულია ყოველივე რაც წარსულში მომხდარა, აწმყოში ხდება და მომავალში მოხდება.** თანაც, ზოგიერთი ფსიქოგრამის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ინფორმაცია არა მარტო დედამიწას, არამედ მთელ სამყაროს ეხება. თუმცა, ამავე დროს, ძალიან ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ მიდის ინფორმაცია ისეთ ადამიანებთან, ვინც მის მიღებას სულაც არ ცდილობს.

## უსხეულო ორეულები

აღნიშნული გამოცანა უფრო გასაგები ხდება, თუკი დავუშვებთ, რომ გლობალური საინფორმაციო ველის გარდა არსებობს ის, რასაც პარაფსიქოლოგები „ასტრალურ არსებებს“ უწოდებენ. **ისინი შეიძლება არა მარტო ამჟამად მცხოვრებ კონკრეტულ ადამიანთა, არამედ ყველა ცოცხალი არსების ინფორმაციულ-ენერგეტიკულ ორეულებად წარმოვიდგინოთ.**

სხვადასხვა ქვეყნის პარაფსიქოლოგთა მრავალრიცხოვანმა ცდამ დაადასტურა: **ყველა ადამიანს უხილავი ორეული გააჩნია.** ვთქვათ, ადამიანის ინფორმაციულ-ენერგეტიკული ასლი დაბადების მომენტიდან წარმოიშვება, მაგრამ მისი ფიზიკური სხეულიდან განსხვავებით იგი სიკვდილს არ ექვემდებარება და მარადიულად არსებობს. **ტრადიციული რელიგიის თვალსაზრისით, სწორედ ესაა სული. ასტრალური არსის ადგილსამყოფელი, უწინარესად, შეიძლება გლობალური საინფორმაციო ველი იყოს,** სადაც წარმოშობის მომენტიდანვე იგი არსებობს როგორც სავსებით განცალკევებული სისტემა, რომელიც მუდმივად არის დაკავშირებული თავის მიწიერ იპოსტასთან. ხოლო თუკი ეს მართლაც ასეა, **რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ თავისი მატერიალური ორეულის დაკარგვის შემდეგ ამ სისტემას არ შეუძლია ცოცხალ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება?** იმას, რომ ეს მართლაც ასეა, შემდეგი ფაქტი ადასტურებს: **უმრავლეს შემთხვევაში ფსიქოგრაფიას სწორედ პიროვნული ხასიათი აქვს.**

თუმცა, ჯერჯერობით მაინც გაუგებარია, თუ რატომ იწყებენ ასტრალური ორეულები ცალმხრივ მიმოწერას. ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება სამართლიანობის აღდგენას, საიდუმლოების გახსნას ანდა სიკვდილით შეწყვეტილი საქმის დასრულებას.

ამასთან, ტეხასის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დირექტორის, წიგნის „ავტომატური წერა დამწყებთათვის“ ავტორს ედაინ მაკოის მიაჩნია, რომ **ფსიქოგრაფია – ესაა ჩვენს ქვეცნობიერებასთან ურთიერთობის ხერხი, რომელიც იმქვეყნიურ სამყაროში გამყოლის როლს ასრულებს.**

◎ ინფორმაცია თემაში

*● ბრაზილიელი უნიკუმი ფრენის შავიერი დიდი ხნის მანძილზე მეცნიერებს იმით აკვირვებდა, რომ ლაზერული პრინტერის სისწრაფით ლიტერატურული, ფილოსოფიური და სამედიცინო მასალების წერა შეეძლო. მისი ტექსტების ექსპერტიზისას სპეციალისტები გაოცებას იყვნენ, როცა დაახლოებით ორასი საქვეყნოდ ცნობილი ავტორის ხელწერის მანერას ცნობდნენ. წერისას შავიერი არც კი კითხულობდა ნაწერს, თუმცა კალმისტარს ხელიდან საათობით არ უშვებდა.*

*● მწერალმა უილიამ ბლეიკმა სიკვდილის წინ აღიარა, რომ პოემები „მილტონი“ და „იერუსალიმი“ მან „უშუალოდ ზეციურ მეგობართა კარნახით, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის და, გარკვეულწილად, საკუთარი ვნება-სურვილის გარეშეც კი დაწერა.*

*● დიდი ბრიტანეთის მკვიდრი როზმარი ბრაუნი კი ლიტერატურულ და სამუსიკო ნაწარმოებებს ჰქმნიდა ბერნარდ შოუს, მოცარტის, ბახის, შუბერტისა და სხვათა სტილებში.*

*● ყველაზე გახმაურებული შემთხვევა კი ჩარლზ დიკენსის დაუმთავრებელ რომანთან „ედვინ დრუდის საიდუმლოსთანაა“ დაკავშირებული. დიკენსმა მისი დასრულება მართალია ვერ მოასწრო, მაგრამ, გარკვეული ხნის შემდეგ, გამომცემლობაში ინგლისში სამუშაოს საძებრად ჩამოსული ვიღაც ამერიკელი მუშა მივიდა, დასრულებული რომანი მიიტანა და თან განაცხადა, რომ დასასრული მას... თავად დიკენსმა უკარნახა (?!). მას შემდეგ, რაც რომანი დასრულებული სახით დაისტამბა, სპეციალისტებმა ძილიკი შეწყვიტეს, ვინაიდან აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ასე დაწერა მხოლოდ გარდაცვლილ დიდ მწერალს შეეძლო. იმ მუშას კი სხვა რამით თავი აღარ გამოუჩენია და მას შემდეგ მის შესახებ არავის არაფერი სმენია.*

◎ ყველაფერი ყველაფერზე

## არასენსაციური სენსაცია

**ბრაზილიის ქალაქ პასო ფუნდოს 18 წლის სტუდენტმა ქალიშვილმა კასია აპარესიდა დე სუზამ ადგილობრივ ჟურნალისტებს ერთობ გულის ამაჩუყებელი ამბავი მოუყვა იმის თაობაზე, თუ როგორ „დაუმეგობრდა“ მისი კატა მეზობლის ძაღლს, რის შედეგად... სამი კნუტი და ამდენივე ლეკვი დაბადა! თანაც, სამივე კნუტი მაშინვე დაიხოცა, ხოლო ლეკვებს მიმი მზრუნველად უვლის.**



ერთი კია: ჟურნალისტები თავიდანვე დააეჭვა იმ გარემოებამ, რომ 18 წლის ქალიშვილი არც თუ შეძლებულად ცხოვრობს, თანაც ფეხმძიმედაა, ამიტომ ეს ამბავი ცოტაოდენი ფულის შოვნის იმედით ხომ არ შეთხზა? ჟურნალისტებმა გენეტიკოსებს სთხოვეს ლეკვებისთვის სისხლის ანალიზი ჩაეტარებინათ, თუმცა ბიოლოგიურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორმა ადილ პაჩეკომ იმთავითვე განაცხადა, რომ ამ ამბისა არ სჯერა, მაგრამ თხოვნა მაინც შეასრულა.

– თუკი ლეკვებს 78 ქრომოსომა აღმოაჩნდებათ, მაშინ ისინი ძაღლები არიან, ამიტომ კატა ვერ გააჩენდა, – განმარტავს პაჩეკო. – ისე კი, „სხვისი შვილების“ გაზრდა სხვადასხვა სახეობის ცხოველებში არც თუ იშვიათი მოვლენაა, თუმცა ძაღლისა და კატის შეჯვარება ბიოლოგიურად შეუძლებელია. ისინი ერთმანეთისგან ძალიან შორს მდგარი ბიოლოგიური სახეობებია, რომლებიც ანატომიურად, ქრომოსომების ნაირგვარობით და ქცევის ჩვევებით ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება.

რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნებულმა გამოკვლევის შედეგმა დაადასტურა, რომ არავითარი სენსაცია არ არის, ფოტოზე ძაღლის გაჩენილი ლეკვებია, ხოლო კატა მიმიმ ისინი „იშვილა“.

ორიოდე დღის წინათ რეიტერის სააგენტომ, რომელმაც ეს ცნობა გაავრცელა, „სენსაცია“ ოფიციალურად უარჰყო და თავის ხელმომწერებს გენეტიკური ექსპერტიზის შედეგები დაუგზავნა.

## რას ერჩის ერთი ძაღლის ძალა?

**ალასკაზე ყოველწლიურად ძაღლების მრავალი ცნობილი რბოლა ეწყობა მოკლე და გრძელ დისტანციებზე. გარდა ამისა, მის დედაქალაქ ანკორიჯში არსებული კლუბი „სენბერნარი“, რომელიც ამ ჯიშის ძაღლების მოყვარულებს აერთიანებს, ყოველ თებერვალს აწყობს ძაღლების შეჯიბრს... სიმძიმეების გადატანაში. სენბერნარების ამოცანა რთული არ არის: მათ ადგილიდან უნდა დაძრან დატვირთული ციგა. გამარჯვებულია ის ოთხფეხა, რომელიც უმოკლეს დროში ყველაზე მძიმე ტვირთიან ციგას სხვებზე შორ მანძილზე გადაიტანს.**

აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერი სხვა ჯიშის, ანდა, სულაც, უჯიშო ძაღლებსაც. ყველა მათგანი, საკუთარი წონისდამიხედვით, სამ ჯგუფად – მსუბუქ, საშუალო და მძიმე წონით კატეგორიად იყოფა.

შეჯიბრების აბსოლუტური რეკორდსმენია არაერთგზის გამარჯვებული ცნობილი სენბერნარი სუსიტნა, რომელმაც 2358 კილოგრამი შვიდნახევარ მეტრზე 21 წამში გადაიტანა!

## გამოცდილების გაცვლის შედეგი

**საქვეყნოდ ცნობილმა მესაყვირემ და მომღერალმა, ჯაზის ლეგენდამ ლუი არმსტრონგმა ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ დიდი დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ნილს ბორი გაიცნო.** მუსიკოსმა ფიზიკოსს საყვირზე დაკვრის მცირედი გაკვეთილი ჩაუტარა, მეცნიერმა კი თავის მხრივ გენიალურ მესაყვირეს ატომის ბირთვის გახლეჩის რამდენიმე მეთოდის შესახებ უამბო. მოგვიანებით ლუი არმსტრონგმა ასე მოყვა ეს ამბავი: „ჩვენ დრო დიდებულად გავატარეთ. მას შემდეგ ბორი ისევე ერკვევა ჯაზში, როგორც მე – ბირთვულ ფიზიკაში“.

## ქირავდება რობოტი

**ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში ასეთი განცხადება გამოქვეყნდა:** „ქირავდება 1986 წლის რობოტის გამართული ნიმუში, რომელსაც ბინის დალაგება, ძაღლისა ან კატის გასეირნება, მაღაზიიდან საყიდლების მოტანა შეუძლია. რობოტს ასევე წვრილმანი საოჯახო დავალებების შესრულების უნარიც გააჩნია, შეუძლია ლაპარაკი, აქვს კარგი აღზრდა და სასიამოვნო გარეგნობა“.

ახლა წარმოიდგინეთ ასაკოვანი ცოლ-ქმრის გაოცება, რომელიც ამ უცნაურ განცხადებას გამოეხმაურა, როცა მათ 20 წლის... ახალგაზრდა გამოეცხადათ, შემდგომ აღმოჩნდა, რომ სტუდენტმა სამუშაო ვერაფრით იშოვა, ამიტომაც დასაქმების ასეთი ორიგინალური ხერხი აირჩია.

## მუსიკის დიდი ძალა

**ფრანგი ფსიქოლოგის პოლ კარტიეს აზრით, ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლო პროფესიაა მუსიკოსობა.** მას მიაჩნია, რომ სწორედ მუსიკოსობაშია მაქსიმალურად სასარგებლოდ შერწყმული ფიზიკური დატვირთვა და გარკვეული ემოციური დატვირთვა, რომელიც ორგანიზმისთვის აუცილებელ შიდა ბალანსს ჰქმნის. ფსიქოლოგის თქმით, ზოგადად, მუსიკოსები ყველაზე ჯანმრთელი ადამიანები არიან, რომლებსაც პროფესია ხელს უწყობს ძალიან დიდხანს ჯანმრთელად იცხოვრონ.

## ამერიკული ნიუფები

**ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებთან მდებარეობს კუნძული ნიუფაუნდლენდი. ეჭვი არ არის, რომ როცა მეთერთმეტე საუკუნეში აქ ნორმანები ჩამოვიდნენ, ხოლო 1497 წელს ის ხელმეორედ „აღმოაჩინა“ ინგლისელი ზღვაოსნის ჯონ კაბოტის ექსპედიციამ, კუნძულის აბორიგენების – ბეოტუკის ტომის ინდიელებისა და სხვებისთვის, ძაღლი შინაური ცხოველი იყო. ნადირობისა და ყარაულობის გარდა მას იყენებდნენ გამწევ, ანდა ტვირთის გადამზიდ ძალად, ხოლო სანაპიროზე მცხოვრებნი – თევზის ჭერის დროსაც.**

მოგვიანებით, ევროპელ კოლონისტებს, რომლებიც კუნძულზე სახლდებოდნენ, თავიანთი ძაღლები ჩამოჰყავდათ, ისინი კი ინდიელთა ძაღლებს ერეოდნენ, რის შედეგად ადგილობრივმა ჯიშმა ერთგვარი სახეცვლა განიცადა.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული ნიუფაუნდლენდის კუნძულის ძაღლები დიდი რაოდენობით გაჰყავდათ ევროპაში, მათ მეორე ჭეშმარიტად სამშობლოდ კი ინგლისი იქცა. 1860 წელს ექვს ნიუფაუნდლენდის ჯიშის ძაღლს პატივი ერგო ბირმინჰემის გამოფენაზე წარდგენილა. მოკლე ხანში ნიუფაუნდლენდები იმდენად პოპულარულნი გახდნენ, რომ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და გავრცელებულ ჯიშად იქცნენ. მათ მაშველად მუშაობის შესახებ ლეგენდებს თხზავდნენ, მათი გამოსახულება მრავალი მხატვრის ტილოზეა აღბეჭდილი. მაშველ ნიუფაუნდლენდს კი ინგლისის ქალაქ პორტსმუტში ძეგლიც დაუდგეს.

## ინგლისი საფრთხეშია

**ბრიტანელი სოციოლოგები შოკში არიან და აღშფოთებას ვერ მალავენ:** ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება ახალგაზრდა მამაკაცთა რიცხვი (20-34 წელიძ, რომლებსაც მარტოკა არხეინად ყოფნა ურჩევნიათ და არც ოჯახის შექმნაზე, არც შვილების ყოლაზე ფიქრობენ. ამ ასაკობრივი კატეგორიის 20 პროცენტს საერთოდ არ სურს ამ საკითხზე დაფიქრება და ცხოვრებისგან მხოლოდ მაქსიმალური სიამოვნების მიღებაზე ფიქრობს. ახალგაზრდა ინგლისელთა 60 პროცენტი ოჯახის შექმნას უახლოესი ხუთი წლის მანძილზე არ აპირებს. ამიტომ, როგორც ჩანს, მოკლე ხანში ინგლისი საგრძნობლად „დაბერდება“.



**თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!**



## ხსოვნა

# ოთარ მხეიძე



ქართულმა ინტელიგენციამ, საგზაო დარგმა მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, დიდი სითბოთი და გულისხმიერებით სავსე, თავისი საქმის დიდი სპეციალისტი **ოთარ მხეიძე.** ბატონმა ოთარმა ცხოვრების დიდი გზა განვლო. დაიბადა 1925 წლის 14 მარტს ამბროლაურის რაიონის სოფ. კრიხში.

1942 წელს, ამბროლაურის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობდა თბილისის №31 საავიაციო ქარხანაში ხარატად. 1950 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო საინჟინრო ინსტიტუტი.

სამსახურებრივი მოღვაწეობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ „თბილსახგზაპროექტში", სადაც 1997 წლამდე განვლო გზა ინჟინრიდან საკავშირო მნიშვნელობის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორამდე (1973-1977 წლებიძ, მისი ინიციატივით ეს ინსტიტუტი 1976 წელს „სოიუზდორპროექტის" თბილისის ფილიალიდან ჩამოყალიბდა მაღალკვალიფიციურ საერთაშორისო მნიშვნელობის საპროექტო ინსტიტუტ „თბილსახგზაპროექტად".

1977-1989 წლებში ბატონი მხეიძე საქართველოს საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილეა.

1990 წლიდან მუშაობდა საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ „ტრანსპროექტში" კონსულტანტად.

ოთარ მხეიძის როგორც მაღალი რანგის სპეციალისტად ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ყირგიზეთში, საკავშირო მნიშვნელობის ფრუნზე (ბიშკეკიძ-ოშის 200 კმ სიგრძის საავტომობილო გზის დაპროექტებასა და მშენებლობაში 1958-1965 წლებში მოღვაწეობამ, სადაც იგი ხელმძღვანელობდა მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაციით უზრუნველყოფას და ახორციელებდა მშენებლობაზე საავტორო ტექნიკურ ზედამხედველობას.

ბატონი ოთარი 1956-1958 წლებში იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში ავღანეთში, გინდიკუშის ქედზე სალანგის უღელტეხილის გავლით საავტომობილო გზის და გვირაბის დაპროექტებასა და მშენებლობაში ავღანეთისათვის ტექნიკურ დახმარებაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო 1969-1971 წლებში კუბის რესპუბლიკაში, ნაციონალური ავტომაგისტრალის და რკინიგზის დაპროექტებასა და მშენებლობაში ტექნიკურ დახმარებაში მონაწილეობის მისაღებად. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა საავტომობილო გზების დარგს. მან მონაწილეობა მიიღო ახლად ასაშენებელი ავტომაგისტრალის ძირითადი ტექნიკური პარამეტრების და მოთხოვნების ჩამოყალიბებაში და ტექნიკური დოკუმენტაციის ეტალონის შექმნასა და დამტკიცებაში.

მისი ინიციატივით და ავტორობით 1976 წელს დამუშავდა საპროექტო სამუშაოების წარმოების და ხარისხის მართვის სისტემა.

საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროში მოღვაწეობისას ბატონმა მხეიძემ ჩამოაყალიბა: ნომენკლატურული კადრების შერჩევის, განაწილების და დამტკიცების დებულება, ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავების, განხილვის, დამტკიცების და საგზაო სამუშაოების შესრულების ხარისხის მართვის სისტემები.

საპროექტო ინსტიტუტის დირექტორის და მინისტრის მოადგილის პოსტებზე მოღვაწეობისას ბატონმა ოთარმა გამოავლინა ადამიანთა და წარმოების დემოკრატიული პრინციპებით მართვის თვისებები.

ბატონი ოთარ მხეიძე დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენებით და რიგი სამთავრობო მედლებით და სიგელებით.

ბატონი ოთარ მხეიძე საქართველოს ეროვნული და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონი ოთარი საავტომობილო გზების უწყებაში საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით გამოირჩეოდა, მისი ხსოვნა, როგორც შესანიშნავი პროფესიონალისა და ღირსეული მამულიშვილისა, მარად დარჩება მისი კოლეგებისა და ახლობლების მეხსიერებაში.

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; ინსტიტუტი „ტრანსპროექტი", შპს „გზაპროექტი", ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება"; საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება.**

## ინფორმაცია

### „ბერლინალეს" კინობაზრობისთვის ქართული ფილმების კატალოგი მზადდება

**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ქართული ფილმების ახალ კატალოგზე მუშაობს. კატალოგში 2005-2006 წლებში გადაღებული ქართული მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები შევა.**

ქართული ფილმების საინფორმაციო კრებულს ქართული მხარე მიმდინარე წლის თებერვალში ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ კინობაზრობაზე წარადგენს.

—კატალოგი მზადდება ბერლინის კინობაზრობაზე წარსადგენად, რომელიც ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართება 8-დან 18 თებერვლამდე. შესაბამისად, დრო ძალიან შეზღუდულია და ინფორმაცია უნდა მივიღოთ არაუგვიანეს 17 იანვრისა, — აცხადებენ კინოცენტრში.

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი მოუწოდებს რეჟისორებსა და პროდიუსერებს უმოკლეს დროში წარადგინონ ცნობები თავიანთი ფილმების შესახებ.

### ახალი ქართული ფილმსაცავის შექმნა რუსეთის პოლიტიკურ ნებას უკავშირდება

**11 იანვარს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ორდღიან კონფერენციას უმასპინძლებს, რომელიც ახალი ქართული ფილმსაცავის „ქართული სინემათიკის" დაფუძნების საკითხებს შეეხება. როგორც ცნობილია, ქართული ფილმების ნეგატივები არა საქართველოში, არამედ რუსეთში ინახება.**

როგორც ცენტრის კინომემკვიდრეობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ განაცხადა, კონფერენციაზე უცხოელი სპეციალისტები არიან მოწვეულნი, რომლებიც ახალი არქივის შექმნის პრობლემატიკაზე ისაუბრებენ.

ბაქრაძის თქმით, არქივის შექმნა ორ ურთულეს პრობლემას უკავშირდება, ფინანსურსა და პოლიტიკურს.

— პოლიტიკური ნების გარეშე რუსული მხარე ნეგატივებს არ გადმოგვცემს. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ უფასოდ ისინი არც პოლიტიკური ნების შემთხვევაში დაგვითმობენ ფირებს. ასე რომ, საქმე საკმაოდ დიდ თანხას ეხება, რადგან უამრავი ნეგატივია გადმოსაცემი, — განაცხადა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, ორიგინალი ნეგატივების გადმოცემაზე საუბარიც კი ზედმეტია. რუსული მხარე მხოლოდ მათ ასლებს დაგვითმობს.

### წლეულს „პენ მარათონი" არ ჩატარდება

**მიმდინარე სეზონზე ლიტერატურული კონკურსი „პენ მარათონი" არ ჩატარდება. ამის შესახებ ჯიეიჩ-ენს გამომცემლობა „დიოგენეში" აცნობეს, რომელიც ამ კონკურსის ორგანიზატორია.**

„პენ მარათონი" საქართველოში 2000 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და ახალგაზრდა მწერლების წარმოჩენას უწყობს ხელს. „დიოგენეში" არ აკონკრეტებენ კონკურსის გადადების მიზეზს. თუმცა აცხადებენ, რომ „პენ მარათონი" 2007 წლის ბოლოს ჩატარდება.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

---

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მამუკა ზოდელავას დედა

ტურფა დოლიძე-ზოდელავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1967 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის პროფესორ

გიორგი (ჟორაძ აფრასიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები: ლია გორდელაძე, ლია ლოლობერიძე, თინა სინაურიძე, ნანა ჯანელიძე, ლალი ჩიქოვანი, ლია აფაქიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

იზა ანდღულაძე-კობერიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგას დოდო იორდანიშვილს დეიდაშვილის

დათო ჩხაიძის

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ანზორ, შვილები ნინო, ზეინაბ, პეტრე ზამბახიძეები, ძმა თეიმურაზ ჯვარშეიშვილი, სიძეები დათო ელიოზიშვილი, ზურა ზაქარიაძე, შვილიშვილები დათუნა, შოთიკო, თამუნა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ჯვარშეიშვილი-ზამბახიძე

პანაშვიდი 11, 12 I, 16 სთ. დაკრძალვა 13 I, 14 სთ. გამოსვენება ბინიდან ლადო ასათიანის №32 (ყოფილი ენგელსის ქუჩაძ.

---

შპს „გზაპროექტის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამ კოლექტივის ერთ-ერთი დამაარსებელი, ინსტიტუტ „თბილსახავტოგზაპროექტის" ყოფილი დირექტორი



ოთარ ვასილის ძე მხეიძე.

ბატონმა ოთარმა განვლო გზა რიგითი ინჟინრიდან ინსტიტუტის დირექტორამდე. მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ურთულესი საგზაო-საპროექტო სამუშაოები როგორც საქართველოს რესპუბლიკის, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის და მთელ რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ბატონი ოთარი გამოირჩეოდა თავდადებული შრომით, იყო მაღალკვალიფიცირებული ინჟინერი, გულისხმიერი ხელმძღვანელი, უანგარო მეგობარი და დიდი ოჯახის მამა.

ბატონი ოთარის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

**„გზაპროექტის" კოლექტივი**

---

საავტომობილო გზების დეპარტამენტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეგზევე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ოთარ ვასილის ძე მხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი „საქგზამეცნიერების" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ოთარ ვასილის ძე მხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მეგზევე, დამსახურებული ინჟინერი, ყოფილი საქართველოს საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე

ოთარ მხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „გზამშენპროექტი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ოთარ ვასილის ძე მხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## განცხადება


### სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველოს" აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ

**სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველოს"** გენ. დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს **სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველოს"** აქციონერთა საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 30 იანვარს, 17 საათზე. ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №47-ში.

**დღის წესრიგი:**

1. სს წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა;
3. სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები.

**ქ. თბილისი, 2007 წლის 9 იანვარი.**

# ბოლო გვერდი



● **ძვირფასო მშობლებო! თუ ონკოლოგიურ დაავადებათა თვალსაზრისით ბავშვს რაიმე საეჭვოს შეამჩნევთ, მაშინვე მიმართეთ ონკოცენტრს, რადგანაც სენის დროულად გამოვლენა მისგან განკურნების გარანტიაა**



**⊙ იცოდით?**

## მშვენიერთა სქესი ლაპარაკითაც გამორჩეულია

**სწავლულებმა დაადგინეს: ქალები სამჯერ მეტს ლაყბობენ მამაკაცებთან შედარებით.**

საშუალოდ ქალი 20 ათას სიტყვას წარმოთქვამს დღეში, მამაკაცი – არა უმეტეს 7 ათასისა. სუსტთა სქესის წარმომადგენლის სიტყვაუხვობისა და ძლიერთა სქესის წარმომადგენლის სიტყვაძუნწობის ფესვები თურმე ტვინებში უნდა ვეძებოთ, რომელთა მოწყობილობა სქესებს სხვადასხვა აქვთ.



საგულისყურო ისაა, რომ ასეთი მონაცემები ახლახან ფსიქიატრ ქალბატონს ლუან ბრიზენდაინს გამოუქვეყნებია, რომელიც სან-ფრანცისკოში მდებარე მშვენიერთა სქესისათვის განკუთვნილ კლინიკას ხელმძღვანელობს.

– ქალი, ამასთან ერთად, უფრო ჩქარა ლაპარაკობს და საკუთარი ხმისგან სექსუალურთან მიახლოებულ სიამოვნებას იღებს. მას მეტყველებითი ფუნქციებისათვის პასუხისმგებელი მეტი ნერვული უჯრედები აქვს. თვით ლაპარაკის პროცესს ქალებთან ჰორმონების გამოტყორცნა ახლავს, მათ რიცხვში სქესობრივისაც. ისინი კიდევაც აღაგზნებენ, სიხარულსაც ჰგვრიან და სიტყვათა შემდგომი ნაკადების სტიმულირებასაც ახდენენ, – გვიმტკიცებს მკლევარი ქალი.

სხვების აზრით, სიტყვების სიუხვე კიდევ არ ნიშნავს ქალების მხრიდან მეტი ინფორმაციის გადმოცემას. დამტკიცებულია, რომ დაახლოებით ორი მესამედი ქალის მეტყველებისა ემოციების გამოხატვაზე მიდის, დანარჩენი – აზრთა ჩამოყალიბების ცდებზე...

**⊙ ანეკდოტები**

– მიხო, როგორი ქალები გირჩევნია, ტანკენარი თუ ტანსრული?

– რა თქმა უნდა, ტანსრული.

– რატომ ასე ერთმნიშვნელოვნად?

– იმიტომ, რომ უკვე ოთხმოცისა გავხდი და თანაც მკერავი ვარ!

* * *

ყველაზე საიმედო სიგნალიზაციაა თანამგზავრული სიგნალიზაცია: ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ თანამგზავრი მოეპაროთ.

* * *

ვეტერანები ერთმანეთს უყვებიან, თუ რა გმირობა ჩაიდინეს ომში.

– ერთხელ გერმანელი მფრინავი ფიწლით ჩამოვაგდე, – ამბობს ივან ივანიჩი.

– ციდან?!

– არა, ჩემი დაიკოდან.

* * *

– ხედავ, შვილო, ეს ვეშაპია, – ეუბნება დედა შვილს ზოოპარკის აუზთან.

– მაპატიეთ ქალბატონო, მაგრამ ეს ვეშაპი კი არა, ნიანგია, – შეუსწორა ზოოპარკის თანამშრომელმა.

– არა, ეს ვეშაპია, – გაკერპდა ქალბატონი.

ამასობაში ცხოველი წყლიდან მიწაზე ამობობღდა.

– აი, ხომ ხედავთ, – სიხარულით წამოიძახა ზოოპარკის თანამშრომელმა, – ვეშაპები ხომ არასოდეს გამოდიან ნაპირზე!

– სისულელეა! თვითონაც ხედავთ, რომ ზოგჯერ გამოდიან.

* * *

დიდი ხნის უნახავი ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს:



– როგორა ხარ? – ეკითხება დაშა.

– აბა, რა გითხრა, – უპასუხებს მაშამ, – ექიმთან მივდივარ. მგონი, სკლეროზი მაქვს... ამას წინათ წვნიანი დავამზადე, მაგრამ სად შევდგი ქვაბი, არ მახსოვს.

– ეს რა არის. დილით გამეღვიძა – მაგიდაზე არყის ბოთლი, ორი თეფში და ორი ჭიქა დევს, შიშველი ვწევარ და დანგრეული ვარ, მაგრამ ვინ „გამაიმასქნა“, არ მახსოვს.

**⊙ ბავშვები ჩვენს გვერდით**

## თოვლის პაპა ონკოცენტრში

**გუშინ თოვლის პაპა სტუმრობდა ანდრო ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილებას. იგი ცენტრის პრეზიდენტმა, პროფესორმა რევაზ გაგუამ პატარების გასახარებლად და გასახალისებლად მიიწვია. ბავშვთა განყოფილების ფართო დერეფანში დადგმულ კოპწია ნაძვის ხესთან ბავშვები საოცნებო სტუმარს მოუთმენლად ელოდნენ.** გამოჩნდა ისიც და თან ეშმაკუნა ჯამბაზიც მოიყოლა. ისინი მიესალმნენ დამხვდურთ და ისეთი ტაშ-ფანდურა გამართეს, რომ თავიდან დამორცხვებული ყმაწვილები ლექსების თქმაში, სიმღერასა და ფერხულში აიყოლიეს. და განა მარტო ამას დასჯერდნენ? თოვლის პაპამ ახლა გუდას მოხსნა თავი და გახალისებულ პატარებს საჩუქრების მომცრო ხურჯინები გადასცა, რამაც ყველა ძალიან გაამხიარულა. მათ გულში ჩაიხუტეს საჩუქრები და მადლობის თქმაც არ დავიწყნიათ.

– გადავწყვიტეთ, რომ ამ ბავშვებისთვის შობაახალი წელიწადი მიგველოცა. კარგია, რომ ასე გაერთნენ. აქ ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ მოზარდებს კარგად ვუმკურნალოთ. მათზე სახელმწიფო ზრუნავს და გამოკვლევაც და მკურნალობაც უფასოდ უტარდებათ, – თქვა ბატონმა რევაზ გაგუამ.

მისი თქმით, ამჟამად განყოფილებაში 23 ბავშვი მკურნალობს. ისინი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონიდან არიან. აქ ონკოლოგიური დაავადების თითქმის ყველა ნოზოლოგიას მკურნალობენ, გარდა ლეიკემიისა და თავის ტვინის სიმსივნეებისა. თავის ტვინის სიმსივნის შემთხვევაში, ოპერაცია სხვა კლინიკების ნეიროქირურგიულ განყოფილებებში კეთდება, სხივური და ქიმიოთერაპიისთვის კი აქ გზავნიან.

ამ განყოფილებაში აქვთ დიაგნოსტიკის უახლეის აპარატურა და შესაბამისად, მკურნალობაც ეფექტიანია. წლის განმავლობაში დაახლოებით 150-მდე ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ბავშვი მოდის აქ, მათგან 50-60 ონკოჰემატოლოგიური ავადმყოფია.

**– მინდა მივმართო მშობლებს: თუ დაავადება დროულად გამოვლინდება, განკურნება შესაძლებელია. ამიტომ, ონკოლოგიურ დაავადებათა თვალსაზრისით, თუ ბავშვს რაიმე საეჭვოს შეამჩნევენ, მაშინვე ექიმ-ონკოლოგს მიმართონ, – თქვა რევაზ გაგუამ.**

**ბელა ლომთაძე**

**⊙ ინფორმაცია**

## „ხრუშჩოვკების“ ნაცვლად – ახალი სახლები

**თბილისის ისანი-სამგორის რაიონში 2005 წელს დანგრეული ორი მრავალსართულიანი შენობის ნაცვლად ორი ახალი შენობა 2008 წლის ზაფხულში ჩაბარდება საექსპლუატაციოდ.**

სამშენებლო კომპანია „სასკოს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის გია ჭითანავას ინფორმაციით, მოსკოვის გამზირის №38-სა და მერვე ლეგიონის დასახლებაში, ონაშვილის ქუჩის №9-ში მშენებარე კორპუსები 2008 წელს დასრულდება. მოსკოვის გამზირზე მშენებარე კორპუსში 60 ოჯახი შესახლდება, ონაშვილის ქუჩაზე კი – 55 ოჯახი.

## ხელვაჩაურში ავტოსამრეცხაოებს ანგრევენ

**ხელვაჩაურის რაიონში ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარე 18 კერძო ავტოსამრეცხაოს დაანგრევენ. ამის შესახებ გადაწყვეტილება ხელვაჩაურის რაიონის არქიტექტურის სამსახურმა მიიღო. როგორც ხელვაჩაურის გამგეობაში განაცხადეს, ავტოსამრეცხაოები უსახურია და გზისპირას მათი არსებობა არც ისე უსაფრთხოა.**

აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი გამგეობის ნებართვით იყო გაკეთებული. მათ დემონტაჟზე ბრძანება 2006 წლის ნოემბერში მოუვიდათ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## უსინათლოებს ეხმარებიან

**უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონატმა ჯანდაცვის სამინისტროსგან გუშინ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი 57 მწერლის 75 ნაწარმოები და კომპაქტდისკები მიიღო.**

როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით მესხიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სამომავლოდ ბრაილის შრიფტით უსინათლოებისთვის თითქმის ყველა ქართველი თუ უცხოელი მწერლის ნაწარმოებები დაიბეჭდება.

წიგნების დაბეჭდვა და კომპაქტდისკებზე ლიტერატურული და ისტორიული ნაწარმოებების ჩაწერა აფხაზეთის უსინათლოთა კავშირმა „ჰერამ“ უზრუნველყო, რისთვისაც ჯანდაცვის სამინისტრომ 63 000 ლარი გამოყო. წიგნებს და კომპაქტდისკებს საქართველოს ქალაქებში არსებული თითქმის ყველა ბიბლიოთეკა მიიღებს.

ამ ეტაპზე, ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა საქართველოს კონსტიტუცია, „ვეფხისტყაოსანი“, „ახალი აღთქმა“ და „ფსალმუნები“, ქართული ჰაგიოგრაფიის ნიმუშები, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა ნაწარმოებები.

უსინათლო ბავშვთა პანსიონატში ამჟამად 54 უსინათლო მოსწავლე სწავლობს.

**ინტერპრესნიუსი**

**⊙ კადრი**



**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.